ᲕᲐᲚᲘᲮᲐᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲛᲔᲑᲐ

ᲙᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲛᲔᲜ ᲛᲔᲪᲜᲐ ᲛᲔᲣᲚᲔᲑᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥ. Კ. Პ. ᲪᲔᲜᲢ. ᲓᲐ ᲗᲘᲑ. ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥ. ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲓᲔᲑᲐ ... ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ... ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ...

ᲮᲔᲚᲛᲬᲔᲠᲚ

პარტიული მშენებლობა

პარტიულ ორგანიზაციებმა უნდა გარდაქმნან კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა

„პარტიულმა ორგანიზაციებმა ისე უნდა გარდაქმნან თავისი მუშაობა კომკავშირის ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობის ხაზით, რომ ისინი გაეცნონ თვითეულ კომკავშირელ აქტივისტს, გაეცნონ ორგანიზაციების საჭიროებას, იმუშაონ კომკავშირის საკითხებზე არა შემთხვევიდან შემთხვევამდე, არა ოფიციალურ სხდომებზე, არამედ დახმარება გაუწიონ კომკავშირს ყოველდღიურად“ (ს. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილებიდან)

ლენინური კომკავშირი საბრძოლო შემოწმებაზე

(ტფილისის გარეუბნის რაიონი)

პარტიის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით ტფილისის გარეუბნის კომკავშირის ორგანიზაციამ თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა. ორგმასობრივი მუშაობის გარდაქმნის შედეგად მიღწეულია კომკავშირელთა ავანგარდული როლის გაძლიერება, უპარტიო კოლმეურნე ახალგაზრდობის ფართო მასების დარაზმვა — სოფლის მეურნეობის დარგში პარტიის წინაშე დასმულ საბრძოლო ამოცანების განსახორციელებლად.

ტფილისის გარეუბნის რაიონმა საქართველოში პირველმა ვადაზე ადრე შეასრულა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების ვალდებულება.

სახელმწიფოს ჩაბარდა 743 ტონა მარცვლეული. კომკავშირის გარეუბნის ორგანიზაციამ აქტიური მონაწილეობა მიიღო, როგორც მოსავლის აღების, აგრეთვე მარცვლეულის ჩაბარების ვალდებულების შესრულებაში.

ადგილებზე მიმაგრებულმა ამხანაგებმა ჩაატარეს ახსნა-განმარტებითი მუშაობა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების კანონის გარშემო, პრაქტიკული დახმარება გაუწიეს საკოლმეურნეო უჯრედებს ძალების სწორად განაწილების საქმეში.

ზემო და ქვემო ავჭალის საკოლმეურნეო უჯრედებმა ბრიგადირებად წამოაყენეს საუკეთესო კომკავშირელები, რომლებმაც გვიჩვენეს მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის ბრძოლის ნიმუშები. კომკავშირის ბრიგადირები ამხ. **ქვერნაძე, გუთიჭაშვილი, სანიკიძე** მისაბაძი გახდენ უპარტიო კოლმეურნეებისათვის. მოწინავე კომკავშირელების ინიციატივით აქ სამჯერ მოეწყო შაბათობა წითელარმიელთა ოჯახებისა და ინდივიდუალურ მეურნე ღარიბ გლეხთა დასახმარებლად. გამოიყო კომკავშირელთა რაზმი, რომელიც იცავდა საკოლმეურნეო მოსავალს მინდვრებზე. ყველა ამ ღონისძიებათა გატარების შედეგად კომკავშირის ავჭალის უჯრედებმა რაიონის ორგანიზაციაში დაიკავეს მოწინავე ადგილი.

კომკავშირის დიღომის ორგანიზაციამ ყურადღების ცენტრში დააყენა საკოლმეურნეო წარმოებაში კომკავშირელთა ავანგარდული როლის გაძლიერება კომკავშირელებს, რომელნიც გამოყოფილი იყვნენ კომორგანიზატორებად ბრიგადებში, მიეცათ კონკრეტული დავალებები. აქტივი განაწილებულ იქნა უბნებზე. მაგალითად, ამხ. თოფჩიშვილი მიმაგრებულ იქნა ჩარგალეთის უბანზე, კეკელიძე — ზემო უბანზე, გომალაშვილი — შუა უბანზე. კომკავშირელთა ენერგიული მუშაობით მიღწეულ იქნა მოსავლის აღების დამთავრება დაწესებულ ვადაზე. სოლანლუღის საბჭოთა მეურნეობა „გიგანტში“ 4-ჯერ, მოეწყო შაბათობა რომელშიც მონაწილეობა მიიღო 300 კომკავშირელმა. აეკალეს, გლდანის, მარტყოფის, დიღომის, კოჯორის უჯრედებმა მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის ბრძოლაში ჩააბეს პიონერებიც.

ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოწინავეთა მაგალითზე ისწავლოს მუშაობის გარდაქმნა თვითეულმა უჯრედმა და კომკავშირელმა. **საგაზაფხულო თესვა, მოსავლის აღება და მარცვლეულის ჩაბარება წარმოადგენდა კომკავშირის რიგების საბრძოლო შემოწმებას.** აქ გამოაშკარავდა — რომელ უჯრედს შესწევს უნარი გაამართლოს პარტიის ერთგული თანაშემწის რანგი, და იბრძოლოს კლასობრივი მტრის და მისი აგენტურის წინააღმდეგ.

ჩატარებული მუშაობა მოწმობს, რომ კომკავშირელები ყველგან ვერ იჩენენ კლასობრივ სიფხიზლეს, არ ასრულებენ მოწინავე მებრძოლის როლს. წალის - ყურის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ მარცვლეულის ჩაბარების საქმეში უხეში შეცდომა დაუშვა. მან პირველი ნაღერწი პური 771 — კილოგრამის როდენობით კერძო ბაზარზე გაყიდა. მივიწყებული იქნა, რომ პირველ მცნებას წარმოადგენს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება. კომკავშირის საკოლმეურნეო უჯრედის მდივანი ჩაჩანიძე, რომელიც ითვლება კოლმეურნეობის გაძეგობის წევრად, თვითონ მოექცა კულაკური საბოტაჟის გავლენის ქვეშ. **აი მეორე მაგალითი სოლანლუღის საკოლმეურნეო უჯრედიდან რომელიც მოწმობს ორგმასობრივი მუშაობის სუსტ გარდაქმნას და საკოლმეურნეო მშენებლობაში კომკავშირის ავანგარდული როლის შეუფასებლობას.** უჯრედის მდივანმა ალექპერ მამედ ოღლიმ ვერ შესძლო კომკავშირელთა დარაზმვა მოსავლის აღების გარშემო. ზოგიერთმა კომკავშირელმა თავი მიანება კოლმეურნეობაში მუშაობას და დაწესებულებაში სამსახური არჩია. კომკავშირელმა აბას ყურაბა ოღლიმ ივლისში, როცა მოსავლის აღების გაც ხარებული პერიოდი დადგა, დეზერტირობა დაიწყო და 15 დღე გააცდინა. კომკავშირის რაიკომმა, რაიონის ორგანიზაციის ყურადღება გაამახვილა ასეთი ჩამორჩენილი უჯრედის მაგალითზე, რომ ის გადაქცეულიყო გაკვეთილად სხვებისათვის.

ს. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის გარეუბნის რაიკომის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად უკანასკნელ ხანებში თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირის მიმართ, იქ, სადაც პარტიული უჯრედები არა ფორმალურად, არამედ ნამდვილად ეხმარებიან კომკავშირს, იქ, სადაც მიმაგრებული ამხანაგები სწორად არიან შერჩეულნი, ჩვენ გვაქვს თვალსაჩინო წარმატება საკავშირო მუშაობის გარდაქმნაში. ამით ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ საქმეს სწყვეტს არა ფორმალური მიმაგრება, როგორც ეს ზოგიერთი პარტუჯრედის ხელმძღვანელს ჰგონია, არამედ ყოველდღიური დახმარება და ხელმძღვანელობა; კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის დახმარების გაწევის საუკეთესო ნიმუშებს იძლევა ენგელსის პარტუჯრედი (მდივანი ამხ. ქავჯაია). და ავჭალის პარტუჯრედი (მდივანი ამხ. გუთიკაშვილი).

აქ თვით უჯრედის მდივნები ეცნობიან კომკავშირის მუშაობას, სწავლობენ უჯრედის ცხოვრების და მუშაობის ყველა დეტალებს, გულდასმით აანალიზებენ მისამაგრებელ ამხანაგებს, შესწევთ უნარი პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ დარაზმონ კომკავშირელთა მასა. ეს ყველა პარტიულ უჯრედს როდი ახასიათებს. სოლანლუღის პარტუჯრედი (მდივანი ალიევი), ლილოს პარტუჯრედი (მდივანი ამხ. ხაზოვი) კომკავშირის ორგანიზაციას არ უწევენ პარტიულ ხელმძღვანელობას. ისინი არ ასრულებენ ს. კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტის მიერ მოთხოვნილ კატეგორიულ მითითებას იმის შესახებ, რომ კომკავშიოის მიმართ ხელმძღვანელობა და დახმარება მოქცეულ იქნეს პატიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შეუფასებლობას მწვავედ უნდა დავარტყათ. პარტუჯრედებმა საბრძოლო ამოცანად უნდა დაისახონ მოწინავეთა გამოცდილების გამოყენებით ხელმძღვანელობის ნამდვილად გარდაქმნა. ავლწარდოთ თვითეული კომკავშირელისაგან ბოლშევიკი, პოლიტიკოსი, კოლმეურნეობათა სამეურნეო ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცებისათვის აქტიური მებრძოლი — ასეთია ამოცანა.

ა. ზარნაძე

პარტიის ერთგული თანაშემწე

ენგელსის სახელობის კოლმეურნეობამ (გარეუბნის რაიონი) წარმატებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების ვალდებულება. საკოლმეურნეო მოსავლის თვალის ჩინივით მოვლა, მოსავლის უდანაკარგოთ აღება, პირველი ნალეწის ჩაბარება სახელმწიფოსათვის — აი რა იყო კომუნისტების და კომკავშირელების უმთავრესი საზრუნავი. ამ ამოცანის შესასრულებლად უნდა დაგვეროზმა კოლმეურნეობა მასა.

„ზაგოტზერნოს“ პუნქტებისაკენ 30 ივლისს დაიძრა უკანასკნელი წყებული ქარავანი. თვითეულ კოლმეურნეს ხალისსა და ენერგიას მატება ის რომ არ შევრცხვით ჩვენი სახელმწიფოს წინაშე, დაკისრებული ძოვალეობა პირნათლად შევასრულეთ და ამით გარეუბნის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობათა რიგებში ჩავდექით.

ენგელსის სახელობის კოლმეურნეობამ ჩააბარა 111 ცენტნერი პური, 30 ცენტნერი ქერი.

ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის პარტუჯრედის მდივანი ამხ. ქ. ქავჯაია.

ნათესების მოვლის, მოსავლის უდანაკარგოთ აღების და მარცვლეულის ჩაბარების საქმეში კომუნისტებთან ერთად კომკავშირელებმა გვიჩვენეს ბოლშევიკური მუშაობის ნიმუში. საკოლმეურნეო მოსავლის დამცველები ხანძრისა და კლასობრივი მტრის ბოროტი ხელისაგან, საუკეთესო მეურმეები, დანაკარგებთან ბრძოლის ინიციატორები — ეს პირველ რიგში კომკავშირელები არიან.

აი მაგალითად, მოსავლის დაბინავების საკითხი. სალეწი პუნქტი გამართეთ ორ ადგილას — ერთი ენგელსის კოლმეურნეობაში, მეორე — ვაზიანში, რომელიც სოფლიდან 14 ვერსითაა დაშორებული. ვაზიანიდან მარცვლეული ურმებით უნდა გადმოგვეზიდა, საჭირო იყო მეურმეთა დამკვრელი ბრიგადის მოწყობა და, აი, ჩვენ ეს საქმე კომკავშირელებს დავაკისრეთ. გამოვყავით საუკეთესო ამხანაგები, შევადგინეთ ბრიგადა და მივეცით საბრძოლო დავალება, რომ ვაზიანიდან კოლმეურნეობამდე მოსული გადმოზიდვაზე ისინი იქნებიან პასუხისმგებელნი. ბევრი ლაპარაკი აქ საჭირო არ იყო. შედგა საუკეთესო ბრიგადა 12 კომკავშირელის შემადგენლობით. ბრიგადა მუშაობს დამკვრელურად. ის ასწრებს გალეწილი მარცვლეულის გადმოზიდვას კოლმეურნეობაში.

ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის წევრები კარგად იცნობენ **ვასო კანდელაკს და სინკა ვაშაყმაშვილს.** ესენი საუკეთესო კომკავშირელებია. კოლმეურნეობის საერთო კრებამ მათ დააკისრა მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა — ძნების დაცვა მინდვრებზე. **ვაზიანის პუნქტში საკოლმეურნეო მოსავალს იცავს ამხ. სინკა, მარტყოფში კი —ვასო. ჩვენ ორჯერ მოვაწყეთ დაზვერვა, ვსინჯეთ „ძნების დატაცება“, მაგრამ მოვტყუვდით.** კომკავშირელების ინიციატივით მოეწყო წყალის აუზები კალოსთან, რომ ამით თავიდან აგვეცილებია ხანძრის საფრთხე.

დანაკარგებთან ბრძოლა ადვილი არ არის. ზოგიერთ კოლმეურნეს, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვთ შეგნებული სოფლის მეურნეობაში დანაკარგებთან ბრძოლის მნიშვნელობა, სათაკილოდ; უფრო კი დროს დაკარგვად მიაჩნდა ბრიგადების გამოყოფა თავთავების მოსაგრაგებლად. ჩვენ თავიდანვე გადავწყვიტეთ—არც ერთი თავთავი არ დაგვეტოვებია მინდვრად. კოლმეურნეობის წევრებში ამ საკითხზე ჩვატარეთ ახსნა-განმარტებითი მუშაობა. ჩამოვაყალიბეთ ორი ბრიგადა ერთი ახალგაზრდობის, მეორე კოლმეურნე ქალების.

კომკავშირელმა ქალებმა **თამარა კანდელაკმა და მარო ფიროსმანაშვილმა** გვიჩვენეს მარცვლეულის დანაკარგებთან ბრძოლის ნიმუში. ისინი წინ მიუძღოდნენ ქალთა ბრიგადას, გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ერთმანეთს შორის, ვინ უფრო მეტ თავთავს მოაგროვებდა. კომკავშირელებს გვერდში ამოუდგენ პიონერები. პირველად, როდესაც 20 ჰექტარიდან ავიღეთ ქერი, ბლომად შევაგროვეთ „დაკარგული“ თავთავები. გავლენა სანიმუშოდ, გამოვიდა 44 ფუთი. ეს მუშაობა გავაგრძელეთ შემდეგშიც. **არც ერთ ჰექტარზე არ გვჩონდა და ნაკარგი.**

მთელი რიგი კომკავშირელები არა სიტყვით, არამედ საქმით ასრულებენ ავანგარდულ როლს. პირველი პირველთა შორის თვითონ საკოლმეურნეო უჯრედის მდივანია. კომკავშირის უჯრედის მდივნის ამხ. **ვასო ვაშაყმაშვილის** გამომუშავებული აქვს 200 შრომა-დღე. საუკეთესო კომკავშირელებია **ა. ივანიშვილი, ი. კარსანაშვილი, ნიკა ვაშაყმაშვილი და სხვები.**

კომკავშირელები წელს გაცილებით უფრო კარგად მუშაობენ, ვიდრე შარშან. ამას აღნიშნავენ უპარტიო კოლმეურნეებიც. შარშან საკოლმეურნეო წარმოებაში 27 კომკავშირელიდან მუშაობდა მხოლოდ 14. სად იყო დანარჩენი 13- ისინი მოწყობილი იყვნენ სამსახურში იქვე ადგილობრივ სოფელში, ზოგი კი უსაქმოდ დასეირნობდა. კომკავშირის უჯრედის ბიუროსთან ერთად მივიღეთ ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. კომკავშირელები გადავიყვანეთ ბრიგადებში სამუშაოდ. ახლა იქ 27 კომკავშირელია, აქედან 18 მემინდვრეობის ბრიგადაში 2—მესაქონლეობის ბრიგადაში, 7—მებაღეობა-მებოსტნეობის ბრიგადაში. კომკავშირის უჯრედზე მიმაგრებული გეყავს პარტიის წევრი ამხ. **ბერიძე,** რომელიც ესმარება უჯრედს, ხელმძღვანელობას უწევს მას. კომკავშირულ მუშაობას ახასიათებს ნაკლიც. მაგალითად, დღემდე ვერ მოგვიწყვია რიგიანად კომკავშირის პოლიტსწავლება. ამის გამო დაბალია კომკავშირელთა პოლიტიკური მომზადების დონე. ამაში დამნაშავე ვართ ჩვენ პარტწევრები და თვით საკოლმეურნეო უჯრედი. ამ ნაკლს ჩვენ მალე გამოვასწორებთ.

მოსავლის აღება ერთ კვირაზე მეტია დავამთავრეთ, მაგრამ გალეწვას ვეგმა მხოლოდ 50 პროც. არის შესრულებული. განზრახული გვაქვს 30 აგვისტომდე დავამთავროთ გალეწვა. ჩვენ წარმატებით შევასრულებთ ამ ოპერაციას.

ჯ. ქავჯაია.

გზოლო მოეღოს კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შეუფასებლობას

(ფშარილი ოზურგეთიდან)

„პარტიულმა ორგანიზაციებმა ისე უნდა აქვს 121 შრომა-დღე. ნატანებში—გოგებაშვილს 121 შრომა-დღე. ჯუმათში—ივანე სარიშვილს—115 შრომა-დღე და ასე შემდეგ.

კ.კავშირის საკოლმ. უჯრედებმა დიდი დახმარება გაუწიეს საბჭოთა მეურნეობებს, ძიმითის, ჯუმათის, ბახვის; ნავომარის და შუალედურის კომკავშირის ორგანიზაცია. დაეხმარა ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობას. ოზურგეთის კომკავშირის უჯრედმა ათი დღით მობილიზაცია უყო 20 კომკავშირელს და მიაგზავნა ოზურგეთის ჩაის ფაბრიკის სამკუთხედის განსაკარგულებაში.

მოწინავე კომკავშირელებთან ერთად არიან ჩამორჩენილებიც; კომკავშირის ნატანების უჯრედის წევრი ალფესი ზოიძე, დვაბზუს უჯრედში კამანდო ხუჭუა და ალვა გოგუაძე არ ამართლებენ ავანგარდულ როლს, არღვევენ შრომის დისციპლინას.

კომკავშირის ზოგიერთი უჯრედი საწევრო გადასახადის აკრეფისათვის თავს არ იწუხებს, ხშირად დაუფარავად 3—4 თვის დავალიანება (ზვანის, ჩაის ფაბრიკის; ასკანის, შუამთქედის; „ფეიქარი ქალი“-ს. ლაშე გაკირულის უჯრედები). ამ მდგომარეობას ოზურგეთის კომკავშირის რაიკომი გულდაშვებით შესცქერის;

„კომკავშირულმა კომიტეტმა უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული მზრუნველობა აქტივისადმი. თვითეულ უჯრედში შექმნას მტკიცე მებრძოლი გირთვი, რომელებსაც ექნებათ უნარი გაიყოლიოს ახალგაზრდათა მასები, მათ უნდა მიაღწიონ კომკავშირის თვითეული უჯრედის მუშაობის შინაარსის ისეთ გაუმჯობესებას, რომ კომკავშირელი გახდეს კოლექტიურად მოწინავე და უფასლონ გაიყოლიოს თან ახალგაზრდათა მასები. —აი რას უნდა მიაქციონ ყურადღება პარტიის და კომკავშირის ორგანიზაციამა“

აქტივისტი



ფ. მახარაძის სახ. კოლმეურნეობა (ორთავალა) საუკეთესო დამკვრელი კომკავშირელი ამხ. მინასიანი და გოგველია

მოწინავეთა რიგებში

ჩვენი ქარხანა მუდამ მოწინავეთა რიგებში იდგა,—ამბობს კალინინის სახელობის ქარხნის დამკვრელი კომკავშირელი ამხ. ხოხოტაშვილი.—პირველი ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულებით ქარხანამ ამირე-კავკასიაში პირველი ადგილი დაიკავა და გარდამავალი დროშაც მიიღო. ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 102,4 პროც. ივლისში გეგმა 103,7 პროც. შესრულდა

ამ ქარხნის კომკავშირის ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს 200 კომკავშირელს, ათეულებით იბრძვის საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის.

ხოხოტაშვილი დამკვრელი კომკავშირელია, უტიალსაშკოს გამგე, იგი გეგმებს შედამ გადაჭარბებით ასრულებს. პირველი კვარტალის გეგმა მან 107 პროც. შეასრულა.

— ჩვენს ქარხანაში ბევრი კომკავშირელია, ამბობს ამხ. ხოხოტაშვილი, რომლებიც ღირსეულად ატარებენ დამკვრელის და მოწინავე კომკავშირელის სახელს, მაგალითად: **სურენ მატევოსიანი** დამკვრელი კომკავშირელია, მან პირველი კვარტალის გეგმა 109 პროც. შეასრულა. მატეოსიანი 4—ჯერაა დაჯილდოებული: **ბუღდან ამო ბეგოვა** პირველი კვარტალის გეგმა ასი პროცენტით შეასრულა, ის ოთხჯერ დაჯილდოვდეს; კომკავშირელი ქალი ამხ. **ხელიპანოვა** სხვებს არ ჩამორჩება. გეგმებს მუდამ გადაჭარბებით ასრულებს.

—მაგრამ კომკავშირის რიგებში მოიპოვებიან ისეთებიც, რომლებიც ჩირქს სცხებენ ორგანიზაციას: ბროსლოვსკი გრიგოლი და **ბაბიანი** გულნაზარა არცხვენენ ლენინური კომკავშირის რიგებს, ისინი ცუდ დამკვრელები არიან, გეგმების შესრულებაში სამარცხვინოდ ჩამორჩებიან.

— ასეთი კომკავშირელების გამოსასწორებლად ჩვენი უჯრედი აწარმოებს აღმზრდელობითი მუშაობას,—განაგრძობს ამხ. ხოხოტაშვილი.—ჩამორჩენილები ბუქსირზე აყვან აყენებით დამკვრელ კომკავშირელებს, სისტემატიურად ვისმენთ მათ მოხსენებებს მიღწევის შესახებ და ვაძლევთ კონკრეტულ დავალებებს: ამან კარგი შედეგი მოგვცა, აი მაგალითად: კომკავშირელი ფოცა აბრამაძე ცრუ დამკვრელად ითვლებოდა, გაურბოდა საზოგადოებრივ მუშაობას და გეგმების შესრულებაში ზედამ ჩამორჩენილი იყო, მაგრამ აღმზრდელობითი მუშაობის გაშლის შედეგად აბრივნა გამოსწორდა და დამკვრელ კომკავშირელთა რიგებში ჩადგა,

კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის კომკავშირის უჯრედის გამოცდილება მისაბაძია. ამ მაგალითზე უნდა ისწავლონ სხვა ქარხნის კომკავშირის უჯრედებმა.

— ქარხნის კომკავშირის ორგანიზაცია ბოლშევიკურად იბრძვის ტექნიკის ათვისე ბისათვის,— ამბობს ამხ. ხოხოტაშვილი— მიღებული ცოდნა არ გვაკმაყოფილებს, ცხოვრება წინ მიდის, ტექნიკა სწრაფად ვითარდება და თუ ჩვენც, კომკავშირელებმა, არ ავამაღლეთ ჩვენი ცოდნა და კვალიფიკაცია, ჩამოვრჩებით და პარტიის მიერ დაკისრებულ ვალდებულებებს პირნათლად ვეღარ შეასრულებთ, ჩვენთან არსებობს ტექნიკის შემსწავლელი წრეები, მათში ჩაბმულია ყველა კომკავშირელი, მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს და შედეგებსაც დიდს ვაღწევთ.

— არც მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებაა ჩვენში ყურადღების გარეშე; განა უფლება აქვს რომელიმე ჩვენგანს ლენინური კომკავშირელის სახელი ატაროს, თუ ის პოლიტიკურად მოუმზადებელია? ამიტომაც უჯრედი გადამწყვეტ ზომებს იღებს იმ კომკავშირელების წინააღმდეგ, რომლებიც უმიზეზოდ აცდენენ მეცადინეობას.

— წუნის აღმოფხვრა—ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა— განა რა აზრი აქვს გეგმის რიცხვობრივ შესრულებას, პროდუქციას თუ ცუდს გამოვუშვებთ. არ შეიძლება თქვას, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე გვქონდეს, წუნი გვქონდა—განსაკუთრებით ზოგიერთ კომკავშირელებს, მაგრამ ბოლო ხანებში ის ძალზე შევამცირეთ. მაგალითად, კომკავშირელი ოლკოვი, რომელიც წუნდადებულ პროდუქციას უშვებდა, ბუქსირზე აიყვანა **შკირინმა,** გაუწია დახმარება და ამის შემდეგ ოლკოვს წუნი აღარ ჰქონია.

— წუნის ლიკვიდაციის საქმეში დიდ დახმარებას გვიწევს შრომის სოციალისტური მეთოდი—სოცშეჯიბრება და დამკვრელობა. არც ერთი კომკავშირელი არ არის დარჩენილი შეჯიბრების გარეშე.

საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის კომკავშირის ორგანიზაციამ თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვა. მაგრამ მარტო უნდა შეინარჩუნოს ეს წარმატებები, არამედ უფრო უნდა გააძლიეროს ბრძოლა ქარხნის წარმოების, ხარისხის შესაჩენებლების ამაღლებისათვის.

ეს არის მთავარი ამოცანა.

ვ. ბ.

კარგი ბინები--მუშებს

სად, როდის და კიდევ რომელ ქვეყანაში, გარდა ჩვენი საბჭოთა ქვეყნისა, ვითარდება ასეთი სწრაფი ტემპებით საბინაო მშენებლობა და ახალი ქალაქების აგება? ყველამ იცის, რომ სამი-ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში ახალი ინდუსტრიალური გიგანტების გარშემო წარმოიშვა და გაიზარდა რამდენიმე ათეული ახალი ქალაქი—მაგნიტოგორსკი, ტაგანროგი, ხიბინოგორსკი, ძერჟინსკი, ახალი ზაპოროჟიე და მრავალი სხვა. ხდება ძველი ქალაქების—ხარკოვის, გორკის, სტალინოს, სვერდლოვსკის, ნოვოსიბირსკის, როსტოვის რეკონსტრუქცია. მათ შეემატა ახალი ჭუჩები, რაიონები, მუშათა დაბები. წინ მიდის წითელი დედა-ქალაქი—მოსკოვი. სააკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის ივნისის პლენუმის შემდეგ, როცა მთელი სიგრძე-სიგანით იქნა დასახული საქალაქო მეურნეობის საკითხები, მოსკოვმა ორი წლის განმავლობაში ააგო დაახლოებით 1200 ორ, სამ, ხუთ, შვიდსართულიანი სახლი, დააშენა 200-მდე სახლი და მისცა მუშებს ერთ მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. მოსკოვმა ასფალტით დაფარა რამდენიმე ათეული ქუჩა და მოედანი. მოსკოვი აშენებს მეტროპოლიტენს. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ და კიდეც უნდა გავაკეთოთ უფრო მეტი იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები. რა სჭირდებათ დღეს მუშებს ყველაზე უფრო? ბინა, კარგი საცხოვრებელი ბინა.

ცნობილია, რომ მუშა-ბელის დიდ დენადობის ერთერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს ბინების ნაკლებობა. ჩვენი პარტიის ბელადი ამხ. სტალინი რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებს. ჯერ კიდევ აპ ორი წლის წინათ თავის ისტორიულ სიტყვაში—„სამეურნეო მშენებლობის ახალი ვითარება და ახალი ამოცანები“—ამბობდა:

„მუშათა მისამაგრებლად საწარმოებზე კი დევ საჭიროა მუშათა მშენებლების და საბინაო პირობების შემდგომი გაუმჯობესება“

ამხ. სტალინმა დამპალი და სავსებით გაბრწყინვალი უწოდა იმ ელემენტებს, ვინც ინუგეშებს თავს წარსულზე მითითებებით: წინათ საცხოვრებელი ბინები უფრო ნაკლები იყო, ამის გამო შეიძლება დამშვიდდეთ მიღწეულ შედეგებზე.

ის, ვინც ახლაც განაგრძობს მითითებას წარსულზე, იგი პირდაპირ ბრმაა. იგი ვერ ხედავს, რომ „ახლა მუშა ის კი არ არის, რაც წინათ იყო. ახლანდელ მუშას, ჩვენს საბჭოთა მუშას სურს იცხოვროს ისე, რომ დააკმაყოფილოს უველა თავისი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილება. ხასურსათო მომარაგების მხრივაც, ბინის მხრივაც და კულტურულ და სხვა მოთხოვნილებათა უზრუნველყოფის მხრივაც. მას აქვს ამის უფლება და ჩვენ ვალდებული ვართ უზრუნველვყოთ მისთვის ეს პირობები“. ტალინი).

ბევრმა ჯერ კიდევ ვერ გაიგო პარტიის ეს მითითება და თუ გაიგო ვერ შესძლო ან არ მოისურვა მისი განხორციელება. მხოლოდ ამით აიხსნება ის სრულიად შეუწყნარებელი მდგომარეობა, რომ წელს უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრებში—დონბასში, კუზბასში, მაგნიტოგორსკში და მოსკოვშიაც კი საბინაო მშენებლობის გეგმა არ სრულდება.

წელს ჩვენ დიდი მოსავალი გვაქვს, წარმოება მოსავლის აღება. პარტია მიაღწევს იმას, რომ მოსავალი აღებული იქნება ნაკლები დანაკარგებით, ვიდრე წარსულ წლებში, პური გაცილებით უფრო მეტი იქნება, ვიდრე გასულ წელს. გვექნება მეტი ბოსტნეული და ამაში საგრძნობლად დაგვეხმარებიან მუშათა ინდივიდუალური ბოსტნებიც. თუ ყოველივე ამას მივუმატებთ კარგ ბინას—რამდენიმე ათეული ათასი მუშა იგრძნობს თავისი გაზრდილი მოთხოვნილებების ახალ საგრძნობ დაკმაყოფილებას. ვისაც არ ესმის, რომ ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა საბინაო მშენებლობის წინ წაწევა, მას არაფერი არ გაეგება ამ პროცესებში, რომლებიც ხდება ჩვენს ქვეყანაში, მას არ შესწევს უნარი იბრძოლოს მუდმივ კადრების შექმნისათვის, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ახალი ტექნიკის დაუფლების უმნიშვნელოვანესი ლოზუნგის განხორციელება.

პირველი, რაც გვხვდება თვალში საბინაო მშენებლობის მიმდინარეობასთან გაცნობის დროს, ეს არის, რომ ბინების მშენებლობა წარმოების ნელი ტემპებით, მაგალითად, დონ ბასში, როგორც თუნყება ჩვენი კორესპონდენტი „პრავდას“ დღევანდელ ნომერში, დღინი 220 მილიონი მანეთიდან, რაც გაეცებულია კომუნალური, საბინაო და კულტურული მშენებლობისათვის, გამოყენებულია 20 პროცენტზე ნაკლები. ბევრი სახლი დგას დაუმთავრებელი.

მეორე მაგალითი. მოსკოვის საქალაქო ბინათკავშირს—მოსკოვის ერთ-ერთ საბჭო მშენებლო ორგანიზაციას—წლის პირველ ნახევარში უნდა ეშენებინა 23.000 კვ. მეტრი საბინაო ფართობი, ხოლო ააშენა მხოლოდ 4.000 კვ. მეტრი.

მეორე უაღრესად სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ შენდება ცუდი ხარისხის ბინა. სახლებში ინგრევა ლესილი. ჩქარა და ხშირად ფუჭდება გასათბობი მოწყობილობა და კანალიზაცია.

მესამე: ბინები შენდება უხერხული. ეს განსაკუთრებით ეხება ხისგან აშენებულ სტანდარტულ სახლებს. ასეთ სახლებს, რომლებიც აშენებულია დონბასში, აქვთ ცოტა შესასვლელები, მათ არ მოეპოვებათ საკუჭნაოები, სარდაფები და საპირფარეშოები, ისინი ცუდად თბება და ამიტომ ხშირია შემთხვევები, როცა მუშა ამჯობინებს იცხოვროს ძველ ვიწრო ბინაში, ვიდრე ახალი სტანდარტული სახლის ფართო ბინაში.

მეოთხე: მთელ რიგ ადგილებში გატაცებული ერთ-ერთ დროებით ტიპის ბინების — ბარაკების მშენებლობით. ბარაკებზე იხარჯება აუარებელი ფული, ხოლო ეფექტი კი უმნიშვნელოა. მუშა, რომელსაც სურს დარჩეს სამუშაოდ ქარხანაში, მაღაროში, უარს ამბობს ბარაკში ცხოვრებაზე, იქ სივიწროვეა, დაულაგებლობა და, უფრო ხშირად, ული მათგანის ვალდებულებანი.

პლენუმმა მოითხოვა ბოლო მოეღოს გაუპატივრებას სახლების მშენებლობაში. ჩვენ ვიცნობთ ქარხნების დირექტორებს, მაგრამ რატომ რჩებიან ნაგებობანი უსახელოდ, სად არიან მათი ავტორები— არქიტექტორები? საჭიროა არქიტექტორის მიეცეს სათანადო უფლებები წარმოებაში: ის უნდა ხელმძღვანელობდეს სამუშაო გეგმების დამუშავებას, მან უნდა შეიმუშაოს შენობის შიგნითა და გარეთა გამართულობის ხასიათი და არ დაუშვას ცუდი ხარისხით მუშაობა.

მთელს საბჭოთა კავშირში გაიშალა ახალი სახლების და დაწესებულებების ჰეშმარიტად გრანდიოზული მშენებლობა, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ხშირად ეს მშენებლობა წარმოეპს უსახავსოდ, რადგან არავინ ზრუნავს მათ გარეგან სახეზე, მათ არქიტექტურულ გაფორმებაზე. ამ ნაწილში ძალიან ჩამოვრჩით, საჭიროა დაუყოვნებლივ შეეუდგეთ ამ საქმეს. დეე, არქიტექტორებმა მეტი იფიქრონ, ვინც ააშენეს როგორც დღესასწაული. თუ ჩვენ დღესვე, ერთბაშად, არ შეგვძლია ბარაკების მაგიერ ყველას მივცეთ მოხერხებული საცხოვრებელი, ჩვენ აქეთკენ უნდა მივისწრაფოდეთ, თვითეულ ქარხანაში, თვითეულ მაღაროში სახლების მშენებლობის გაძლიერებულად გაშლილი სოდაც წარმოუდგენელია ახალი ტექნიკის დაუფლების უმნიშვნელოვანესი ლოზუნგის განხორციელება.

პირველი, რაც გვხვდება თვალში საბინაო მშენებლობის მიმდინარეობასთან გაცნობის დროს, ეს არის, რომ ბინების მშენებლობა წარმოების ნელი ტემპებით, მაგალითად, დონ ბასში, როგორც თუნყება ჩვენი კორესპონდენტი „პრავდას“ დღევანდელ ნომერში, დღინი 220 მილიონი მანეთიდან, რაც გაეცებულია კომუნალური, საბინაო და კულტურული მშენებლობისათვის, გამოყენებულია 20 პროცენტზე ნაკლები. ბევრი სახლი დგას დაუმთავრებელი.

მეორე მ

საშემოდგომო თესვისათვის მზადება

სარემონტო კამპანიას ბოლშევიკური ტემპები და ხელმძღვანელობა

საგარეჯოს რაიმიწგანი დირექტივების მოლოდინში

საგარეჯოს რაიონს ივნისის ბოლო რიცხვებში გადაჭარბებით ქონდა შესრულებული საანეულო ხვნის გეგმა. 3500 ჰექტარის ნაცვლად მოხნა 3.599 ჰექტ. ამ საქმეში სამაგალითოდ ჩამორჩა **მალხაზოვკის** სას. საბჭო, რომელსაც გეგმით გათვალისწინებულ 130 ჰექტარიდან არც ერთი ჰექტარი არ მოუხნავს.

საანეულო (ადრეული) ხვნის დამთავრების შემდეგ დაიწყო საგვიანო ანეულის ხვნა, მაგრამ იგი ამჟამად გეგმისა და ოპერატიული ხელმძღვანელობის გარეშე მიმდინარეობს.

16 აგვისტოსათვის რაიონში მოხნეული იყო 1.069 ჰექტარი. რამდენი უნდა დაიხნას გეგმით — ამის შესახებ რაიმიწგანის გამგემ **ამხ. შენგელიამ** არაფერი იცის. **ის დირექტივებს ცენტრიდან მოელის.** ამის შესახებ ვერც რაიაგრონომი **ვ. ალექსიძე** იძლევა გარკვეულ პასუხს.

საგარეჯოს რაიონში გეგმით შემოდგომაზე უნდა დაითესოს მარცვლეული კულტურები — 10710 ჰექტარზე საჭირო იყო და არის ფაქტიო ასხნა - განმარტებით მუშაობის გაწყვა თესვისათვის მზადების ირგვლივ, მაგრამ ეს ასე როდი ხდება.

რაიმიწგანის გამგემ საშემოდგომო თესვის საორიენტაციო გეგმების სას. საბჭოებამდე და კოლმეურნეობამდე დასაყენებად საგარეჯოს სამ.-სატ. სადგურის დირექციას მოსთხოვა აგრონომები.

სამ.-სატ. სადგურის დირექციის ძველ მა ხელმძღვანელობამ მიწგანს გაღაუგზავნა მზოლოდ აგრონომების სია. სინამდვილეში ამ სიაში და საზღვრებული აგრონომები — **გოგიტაშვილი, დავითაშვილი და არჩუაძე,** ადგილებზე არ გამოცხადებულან.

უკეთესი მდგომარეობა არც მანქანა - იარაღების შეკეთების მხრივ არის.

ჩატარებული აღრიცხვით კოლმეურნეობებში (რომელთაც სამ.-სატ. სადგური არ უწევს მომსახურეობას) და ერთპიროვნულ მეურნეობებში უნდა შეკეთდეს 668 გუთანი, 27 სათესი, 4 ტრიერი და სხვ.

რაიონის 31 კოლმეურნეობაში, რომელთაც მომსახურეობას უწევს სამ.-სატ. სადგური. მანქანა - იარაღების აღრიცხვისა და რემონტის შემდინარეობის შესახებ რაიმიწგანს არავითარი ცნობები არ მოეპოვება.

რაიმიწგანის გამგე ამხ. **შენგელია** თავის მოვალეობად არ სთვლის დახმარება გაუწიოს იმ კოლმეურნეობებს, რომელთაც მომსახურობას უწევს სამ.-სატ. სადგური.

არც სამ.-სატ. სადგურის დირექციას გაუკეთებია ბევრი რამ ამ მხრით. 16 აგვისტოსათვის სადგურს არ მოეპოვებოდა ცნობები მანქანა-იარაღების აღრიცხვისა და რემონტის შესახებ.

რაიმიწგანის და სამ.-სატ. სადგურის მუშაკებმა არ იციან სად და, რა რაოდენობის სასუქი უნდა იქნას გატანილი მინდვრად.

რაიონში თესვა უნდა დაიწყოს სექტემბრის 1-ლ ნახევარში. რაიმიწგანმა და სამ.-სატრ. სადგურმა გადაჭრით უნდა გაანლიერონ თესვისათვის მზადების ტემპები; მათ თავი უნდა დააღწიონ უმოქმედობას, რომელიც საფრთხის წინაშე აყენებს საშემოდგომო თესვისათვის მზადებას.

რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამ.-სატ. სად. პოლიტ - განყოფილებამ კონკრეტული ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ადგილებს და უზრუნველჰყონ საშემოდგომო თესვისათვის მზადების წარმატებით ჩატარება.

დ. ჭანკვეტაძე.

საქ. მიწსახკომის მექანიზაციის სექტორი

სუსტად ხელმძღვანელობს სარემონტო კამპანიას

საშემოდგომო თესვისთვის დაკომპლექტებით სას.-სამ. მანქანა - იარაღების რემონტის მიმდინარეობის შესახებ რაიონებიდან მოსულმა ცნობებმა მიწსახკომის სააღრიცხვო სექტორში უნდა მოიყაროს თავი. ხოლო, თუ როგორ მიმდინარეობს ადგილებზე რემონტი ან რა უშლის ხელს ამ საქმეს — ამის შესახებ ახსნა-განმარტება უნდა მიიღოთ ამავე კომისარიატის მექანიზაციის სექტორში.

მისამართი არ შეგეშლება. 21 აგვისტოს ვექსაუბრებით მიწსახკომის მექანიზაციის სექტორის გამგეს ამხ. **მირიანაშვილს** სას.-სამ. მანქანა - იარაღების რემონტის ჩატარებისა და მიმდინარეობის შესახებ.

მიწსახკომმა რაიონებში გაგზავნა თავისი მოკა ები, რომლებმაც, ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად შეადგინეს მანქანა-იარაღების რემონტის გეგმა, როგორც კოლმეურნეობებს, ისე ერთპიროვნულ მეურნეობათა სახით — იარაღების სექტორის გამგე.

— რაიონებიდან დაბრუნებულ მოშაკეების მიერ ჩამოტანილი მასალების მიხედვით, ჩვენ შევადგინეთ რემონტის რესპუბლიკური გეგმა. რემონტი ადგილებზე მიმდინარეობს — განაგრძობს **მირიანაშვილი.**

რემონტის რესპუბლიკური გეგმა შედგენილია, მანქანა - იარაღების შეკეთება ადგილებზე მიმდინარეობს — **ასეთია** მირიანაშვილის სიტყვა, საქმე კი ცოტა სხვანაირად არის.

როგორც გამოირკვა, სარემონტო კამპანიის რესპუბლიკური გეგმის შედგენა 22 აგვისტოსათვის არ იყო დამთავრებული, ხოლო რემონტის მიმდინარეობის შესახებ დღემდე არაფერი იცის მიწსახკომის არც მანქანა - იარაღების შეკეთების მხრივ არის.

ჩატარებული აღრიცხვით კოლმეურნეობებში (რომელთაც სამ.-სატ. სადგური არ უწევს მომსახურეობას) და ერთპიროვნულ მეურნეობებს) წინადადება მისცა მიწსახკომს, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატების რწმუნებულებს, მომრაგების სახ. კომისარიატს, ცეკავშირს, საბჭოთა მეურნეობის ტრესტებს, ტრაქტორცენტრს, რაიონების აღმასკომებს და კომ. პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს — „გამოირკვონ საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიური მეურნეობებისა კუთვნილი ნიადაგის დამუშავებული, მარცვალ - გამწმენდი და სათესი მანქანებისა და იარაღის რაოდენობა და მდგომარეობა, დაამჭარონ მათი რემონტი და არა უგვიანეს ხუთი დღის ვადისა მოახსენონს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს რემონტის მსვლელობა".

აქ დასახელებულმა ორგანიზაციებმა სექ. სახკომსაბჭოს და სექ. კ.პ. (ბ) ცეკას ეს დადგენილება ურყევად ვადაზე უნდა შეასრულონ.

ი. ლი.

ნათესი ფართობი დიდდება 7.000 ჰექტარით

(წნოლრის სამანქანო - სატრაქტორო სადგური)

წნორის სამ.-სატ. სადგურის მომსახურეობაში შემეწვალმა კოლმეურნეობებმა, პოლიტგანყოფილებისა და დირექციის ხელმძღვანელობით უკვე მოათავეს მოსავლის აღება, ლეწვა და პურის ჩაბარება.

ამავანად სამ.-სატრაქტორო სადგურის მთელი ყურადღება მიქცეულია საშემოდგომო თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებისაკენ.

დროულად აქვა შედგენილი 1933 წლის საშემოდგომო თესვის კამპანიის გეგმა. **სამ.-სატრ. სადგური საშემოდგომო თესვაში მოხსმსახურეობას გაუწევს 66 კოლმეურნეობას.**

გასულ წელთან შედარებით რაიონში ნათესი ფართობი გადიდდება 7000 ჰექტარით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა თესლბრუნვის საკითხს. გეგმით წელს თესლბრუნვა შემოღებული იქნება 23 კოლმეურნეობაში.

განსაზღვრულია ხვნის და თესვის ვადები. ა.-წ. „უკანა მხარში" მოხვნა დამთავრდება 10 სექტემბერს, ხოლო წინა მხარში—15 სექტემბრამდე.

მოხნულ მიწებზე თესვის წინ ჩატარდება ბოვნა.

თესვა „უკანამხარში" დამთავრდება 10 ოქტომბერს, ხოლო წინა მხარში—20 ოქტომბრამდე.

სამ.-სატ. სადგურის დირექციამ და პოლიტგანყოფილებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს თესლის შეგროვების დროულად დამთავრებას. გაწმილია დიდი მუშაობა **თესლის სავალდებულო გაწმენდისა** და მთელი სათესლე მასალის შეწმენდისათვის. ეს მუშაობა მოთავებული იქნება 10 სექტემბერს.

ამჟამად კოლმეურნეობებში მიმდინარეობს სათესლე მასალის შენახვის მდგომარეობის და ხარისხის შემოწმება.

სამ.-სატ. სადგურის მოსამსახურეობაში შემავალ კოლმეურნეობებში დაითესება ხორბალი 6480 ჰექტარზე, ქერი 1266 ჰექტ. ითხვა 390 ჰექტ., შვრია 189 ჰექტ., ბოსტნეული 11 ჰექტარზე.

დიდი მუშაობა ტარდება მძრალად ხვნის დროში, მძრალად ხვნა იწარმოებს იმ მიწებზე, რომლებზედაც დათესილი იყო პურეული და ბალახი.

ამჟამად მთელი მუშაობა სწარმოებს იმ ძალთმოეებით, რომ საშემოდგომო კულტურებისათვის დანიშნული ყველა მიწების ხვნა ჩატარდეს ისეთი ანგარიშით, რომ იგი დამთავრდეს ყოველ შემთხვევაში ერთი თვით ადრე მოხნე თესვის დაწყებამდე და უზრუნველყოფილი იქნას საგიანო ანეულად ხვნის დამთავრება უახლოეს ვადაზე.

სილნალის სკ.პ. (ბ) რაიკომის პლენუმის დადგენილების თანახმად, მანქანა-იარაღების შეკეთება უნდა დამთავრდეს პირველ სექტემბრამდე. შეიძლება ახლავე ითქვას, რომ ამ მხრივ მდგომარეობა არ არის სანუგეშო. შემკეთებელ სახელოსნოში უნდა შეაკეთოს 35 ტრაქტორი, 40 გუთანი და 8 სათესი მანქანა. ამ მანქანების რემონტი ძლიერ სუსტათ მიდის.

სახელოსნოს ხელმძღვანელ **კვირველიას** მოუქნელი მუშაობის გამო 14 აგვისტომდე საშემოდგომო თესვის კამპანიის საკითხი არ იყო დამუშავებული შემკეთებელ სახელოსნოს მუშების შორის. დღემდე არ იციან, თუ რაძდენ მანქანა-იარაღის დაკირადება კაპიტალური და რამდენს საშუალო რემონტი. სახელოსნოში არ არის მომარაგებული საჭირო სათადარიგო ნაწილებით და რკინით.

ყოველივე ამას ზედ ერთვის სპეციალისტების სერიოზული ნაკლოვანება. სამ.-სატ. სადგურის დირექციამ და პოლიტგანყოფილებამ კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ ბოლშევიკური ხელმძღვანელობა ამ ნაკლოვანებათა დროულად გამოსწორებისათვის.

მანქანა-იარაღების წესიერად შეკეთებით, თესლის დროულად გაწმენდა-შეწმენდა, აგრონომიული პროპაგანდის ბოლშევიკურად გაშლა, კოლმეურნეობების და ერთპიროვნულ მეზრომელ გლეხობის მტკიცედ დარაზმვა, გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება კულაკების წინააღმდეგ — აი რა უზრუნველყოფს შემოდგომით თესვის იმ სრულიად გეგმების შესრულებას, რომელიც წნორის სამანქანო-სატრაქტორო სადგურს აქვს მიცემული.

ვ. საამოვი.

ქუთაისის მრეწველობამ თავი უნდა დააღწიოს ჩამორჩენას

ქუთაისის მრეწველობამ მიმდინარე წლის 7 თვის საწარმოო-საფინანსო გეგმა საგრძნობი გარღვევით დაამთავრა. მძიმე მრეწველობის დარგში გეგმა შესრულებულია 70%, ხოლო მსუბუქი მრეწვ. დარგში ქუთაისის მრეწველობამ 7 თვეში ქვეყანას დააკლო 1.600.000 მან. პროდუქცია.

მიმდინარე წელს, წინა წელთან შედარებით, ქუთაისის მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი გაიზარდა. რამდენიმე საწარმო შეემატა ინდუსტრიალიზაციის გზაზე დამდგარ ქუთაისს (საკონსერვო ფაბრიკა, შუშეულობის ქარხანა და სხვ.). მიუხედავად 7 თვის გეგმების შეუსრულებლობისა, 1932 წლის ამავე პერიოდთან შედარებით პროდუქციის გამოშვების დარგში საკმაო წინსვლას აქვს ადგილი. 1932 წლის 7 თვის განმავლობაში ქუთაისის მრეწველობამ გამოუშვა 5.000.000 მანეთის პროდუქცია, მიმდინარე წლის ამავე დროის განმავლობაში კი გამოშვებულია 5.152.000 მანეთის პროდუქცია. გასულ წელთან შედარებით ზრდა უდრის 2,4 პროცენტს, რაც დამაკმაყოფილებელი არ არის. წინა ექვს თვესთან შედარებით, ივლისში მძიმე მრეწველობის ხაზით მდგომარეობა გაუმჯობესდა. ამ დარგში ივლისის გეგმა 104 პროც შესრულდა. 7 თვის განმავლობაში ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გეგმა შესრულებულია 97 პროც. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. ზოგიერთ საწარმოში ადგილი ჰქონდა ფასების გადიდებას თვითღირებულების ზრდის ნიადაგზე, რამაც გამოიწვია საქონლის ჩაწოლა (ღარებკომში).

რაც შეეხება სამთამადნო მრეწველობას (ცუმბრინი, ბარიტი), მიმდინარე წლის პირველ ნახევარში აქაც საგრძნობი გარღვევები იყო. ცუმბარიტის ხელმძღვანელობამ ვერ შესძლო მუშაობის გარდაქმნა. დამახასიათებელია, რომ ცუმბრინის კარიერებზე 6 თვის განმავლობაში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8000 ტონა ცუმბრინისა, ამოიღეს 1.726 ტონა. ამან შეაფერხა ბაქოს ნავთის გადამუშავებელი ქარხნების მუშაობა. მხოლოდ სან. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივნის ამხ: **პ: ალნიაშვილის** უშუალო ჩარევით, ივლისის მეცამე დეკადიდან შესაძლებელი შეიქნა გეგმის შესრულება და მისი გადაჭარბებაც.

1934 წელს ცუმბრინის კარიერებზე უნდა ამოიღონ 2.000.000 ტონა ცუმბრინი. ამ დავალებას შესრულებისათვის, სან. კ.პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებით, ქუთაისიდან ცუმბრინის კარიერებამდე გაყვანილი იქნება რკინის გზა, გარდა ამისა, კარიერებში გატარდება სრული მექანიზაცია, რაც საშუალებას მისცემს წარმოებას ნთლიანად შეასრულოს ამოღების გეგმა.

თანდათან სწორდება გარღვეული ფრონტი **ბარიტის მაღაროებში.** იქ გარღვევა გამოწვეული იყო ამ. კავკავიძის სამთამადნო ტრესტის ბიუროკრატიულ - კანცელარული ხელმძღვანელობით. სან. კ.პ. (ბ) ც. კ-ის მდივნის ამხ: **ლ. ბერიას** უშუალო ჩარევით ა.-კავკასიის სამთომოტრესტი გაუქმდა და მის ნაცვლად ადგილებზე დაარსდა ცალკე ტრესტები (ცუმბრინის, ბარიტის). ორგანიზაციული მუშაობის გარდაქმნისა და ხელმძღვანელობის გაძლიერების შედეგად, ბარიტის მაღაროებმა ივლისის დავალება თითქმის შეასრულეს.

1934 წელს ბარიტის მაღაროებმა ქვეყანას უნდა მისცეს 50.000 ტონა ბარიტი. ამ ამოცანის შესრულებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გეოლოგიური კვლევაძიების გაშლას. თუ აქედანვე არ იქნა ამ მხრივ გადადგმული სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები, 1934 წლის დავალების შესრულება ვერ იქნება უზრუნველყოფილი. ქუთაისში არსებობს ბარიტის წისქვილი, რომელიც სისტემატიურად ვერ აწარმოებს გეგმას. წისქვილი არ არის უზრუნველყოფილი ნედლეულის საკმარისი რაოდენობით, არ სჩანს ად გლობრივი ორგანიზაციების ინიციატივა და ბრძოლა საწარმოო დავალების შესრულებისთვის, სუსტია კომუნისტების და კომკავშირლების ავანგარდული როლი. ადგილი აქვს სამუშაო დღეების გაცდენას და საწარმოო დისციპლინის დარღვევის სხვა შემთხვევებს. კომუნისტი **გუჯაბიძე** ორი კვირის განმავლობაში არ გამოცხადებულა ქარხანაში, პარტუჯრედს კი მის წინააღმდეგ არავითარი ზომა არ მიუღია. ასევე უნდა ითქვას ბარიტის მაღაროების დირექციის ზოგიერთ კომუნისტზე. ადგილობრივი პარტორგანიზაციები სუსტად იბრძვიან კონკრეტულ დამნაშავეთა წინააღმდეგ.

ქუთაისის საწარმოებში სუსტად წარმოებს ბრძოლა ამხ. **სტალინის** 6 მითითების გატარებისათვის. ავიღოთ ფაბრიკა „მკერავი". აქ 7 თვის საწარმოო - საფინანსო გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთი მაზეზია მუშა-ხელის ნაკლებობა. წელს ფაბრიკამ მიიღო 400 ახალი მუშა, აქავე დროს, სამუშაოდან წავიდა 305 მუშა. ფაბრიკის ორგანიზ. საციებმა ვერ გაშალეს სათანადო პოლიტ - აღმზრდელობითი მუშაობა ახალმოსულთა შორის, არ მიიღეს ზომები ახლად მოსულთათვის შესაფერი პირობების შესაქმნელად, ფაბრიკაში მათ დასამაგრებლად.

ჩაჭორჭენის მეორე უმთავრესი მიზეზი არის ძლიერ სუსტი ბრძოლა. ტექნიკის ათვისებისათვის. ფაბრიკაში შემოღებულია მუშაობის კონვეიერული სისტემა, მაგრამ იმის გაო, რომ ამ კონვეიერის უმნიშვნელოვანეს ობიექტებს არასაკმაო კვალიფიკაციის მუშები ემსახურებიან, ხშირად საქმე ფუჭდება. ადგილი აქვს სამუშაოზე. გამოუსვლელობას (ივნისში გაცდა 107 სამუშაო დღე). ფაბრიკაში ჩამოყალიბებულია ტექნიკის დაუფლების წრეები, მაგრამ მათი მუშაობა არ არის დაკმაყოფილებელი. ფაბრიკა ნაკლებად ზრუნავს ახალი კადრების აღზრდისათვის. ამჟამად დამთავრების პროცესშია ახალი სამკერავალო ფაბრიკა, იგი 1934 წლიდან გაშენებული უნდა იქნეს ექსპლოატაციაში, და იქ უნდა იმუშაოს 2.000 მუშამ. ფაბრიკის მუშებით უზრუნველყოფად სამკუთხედს დღემდე არავითარი ზომები არ მიუღია.

სამუშაოს გამცდენელ მუშებისადმი ხშირად ადგილი აქვს ლიბერალურ დამოკიდებულებას (ძაფსაღებავი ფაბრიკა „შრომა"), ხდება ისეც, რომ ერთი ადგილიდან მოხსნილი მუშა იქვე მეორე საწარმოში იწყებს მუშაობას გადიდებული ხელფასით.

ქუთაისში სწრაფად იზრდება საწარმოების ქსელი, მაგრამ ამასთან პარალელურად ძალზე ჩამორჩენილია საბინაო მშენებლობა. მაგ., ძაფსაღებ ფაბრიკას არ აქვს ბინა მუშებისთვის, ასეთივე მდგომარეობაშია მაუდის, ფაბრიკაც. ეხლახან დამთავრებულ — საკონსერვო ფაბრიკაში, სადაც 1934 წლ. უნდა იმუშაოს 1200 მუშამ, საბინაო მშენებლობა არ არის დაწყებული. წლის ბინათმშენებლობაზე უნდა დახარჯოს 1.800.000 მანეთი. უკვე 7 თვე გავიდა და ამ თანხებიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია გამოყენებული.

ახლახან ჩატარებულმა სან. კ.პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის და საკონტროლო - კომისიამ მუშგლეხინის გაერთიანებულმა პლენუმმა, განიხილა რა ქუთაისის მრეწველობის 7 თვის მუშაობის შედეგები, დასახა კონკრეტული ღონისძიებანი წლის ბოლომდე გარღვევის სალიკვიდაციოდ.

ამ ღონისძიებების გატარებით ქუთაისის მრეწველობამ გამარჯვებით უნდა დაამთავროს მიმდინარე წელი.

ვ. ლალიაშვილი.

ვინ ანადგურებს საგარეუბნო მეურნეობას

(მაუდ-კამვოლის ფაბრიკის საგარეუბნო მეურნეობა)

ტფილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის საგარეუბნო მეურნეობის სარძეო ფერმა „მესვეურში" მოკალთებული არიან ხაზ. ქონების გამნავებლები: სამნეო ნაწილის გამგე **პეტრე ჩიზანაშვილი,** საწყობის გამგე **ქეკეჩ იძე,** ბუხგალტერი **ბოგლიჩიძე,** ტექნიკოსი **ჩიბაური,** ზოოტექნიკოსი **იასრო შენძე,** მეძიდელი **კუტეპოვი** (ყოფილი კულაკ) და სხვები. აღნიშნულმა პირებმა მეურნეობა თავიანთ **„საწყალ ფურად"** გადაქცეს.

ზოოტექნიკოს იაროშენკოს ბრძანებით ავტო-მანქანა წაიყვანეს ბაშკირეთის მთაზე, უგზოობის გამო მანქანა დაიმტვრა. მისივე დაუდევრობით ამავე მთის საძოვარზე „დაკარგა" ერთი ულები ხარ-კამეჩი, რომელის აღმოხარნად მეურნეობის ადმინისტრაციას არავითარი ზომები არ მიუღია.

ხსენებულმა ჯგუფმა სამუშაოდან მოხსნა საუკეთესო მწყემსი პეტრაშვილი, კომკავშირული ბაწილაშვილი, დურგლები: ბალასიეიჩი, პაპაძე და ერემოვი—იმისათვის, რომ ეს უკანასკნელები ამყოლებოდნენ მათ ბოროტმოქმედებას. მეურნეობის ბუხგალტერმა ლადო გოგლიჩიძემ და საწყობის გამგე კეკელიძემ სამსახური თავიანთ სურვილით მოტოვეს, მაგრამ ხსენებული ჯგუფის დახმარებით ისინი ჯამაგირის სამსახურიდან მოხსნის შემდეგაც დებულობდნენ.

მეურნეობის 50 ძროხა ამჟამად ამყოფება საძოვრებზე. ძროხების ასეთი რაოდენობა, კარგად თუ იქნება მოვლილი, ყოველდღიურად უნდა იწველებოდეს 7 ბიტონ რძეს, ფაქტიურად კი იწველებიან 4 ბიტონს. ეს დანაკლისი გამოწვეულია ძროხების კაპიტალური და რამდენს საშუალო რემონტი. სახელოსნო არ არის მომარაგებული საჭირო ხუთლის განმავლობაში 360 ბიტონი რძე აზარალა.

აღნიშნულ პირთა თავხედობა იქამდის მიდის, რომ ხშირად ისინი ერთმანეთს შეეჯიბრებიან კი იწვევენ: რომელი მათგანი წაიღებს სახლში ბევრს და ამავე დროს ნოყიერ რძეს. მეურნეობას აქვს საკუთარი წისქვილი და ბაღი, რომლის შემოსავალს პირველ რიგში აღნიშნული ვაჟბატონები ინაწილებენ.

მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა შორის არ სწარმოებს კულტმასობრივი მუშაობა. ადმინისტრაცია სრულებით არ ზრუნავს მეურნეობის ქონების დაცვაზე. მონდრდად უკვე რადღებით არის მიტოვებული პური, ბზე და სხვა. სახოფლო სამეურნეო მანქანა-იარაღები (გუთნები, კულტივატორები და სხვ.). ცის ქვეშ უპატრონოდ ყრია და ნადგურდება.

უპატრონობითვე აიხსნება, რომ 21 ივლისს გაჩენილ ფერმის საწყობი. საიდანაც გაიტა ცეს 500 მ. სამრეწ. საქონელი, დირიჟირება ამ ფაქტს დამშვიდებულად შეხვდა და ქუჩდების აღმოსაჩენად არავითარი ზომები არ მიიღო.

საჭიროა მწყვედ დავარტყათ მეურნეობაში შეპარულ ჯურდ-ბაცაცებს, მავნებლებს, და მოპარველებს, რომელთა მეოხებით ნადგურდება საგარეუბნო მეურნეობა.

ი. ტოროშელიძე, რ. ჯედელაშვილი.

რედაქციისაგან.

აღნიშნულთა რა ჩაირილში მოყვანილ ალმაშფოთებელ ფაქტებს საზოგადოებრივი ქონების განავებისა და მეურნეობის ცუდი ხელმძღვანელობის შესახებ, მოველოთ ამ საკითხში სტალინის სახელობის რაიკომის რაიკომი კომისია. მაგრამ კომისიის ერთ-ერთმა წევრმა —**ბესაძემ** მიჩქმალა კერძოდ თვალთვალის მიერ გაფლანგული 700 მანეთი. (თვალთვალე აბესაძის მეუღლეა). ინვალიდთა კოპერატივში მოკალათებული. ყველა გამფლანგველი დღესაც დაუსჯელად დადიან. ამათ გარდა, წალენჯიხას სასაღილოს თანამშრომლებმა გაფლანგეს 12 ათასი მანეთი და სხვ.

გაფლანგვის არც ერთი ეს ფაქტი არ არის გამოაშკარავებული კოოპერაციის სარევიზიო კომისიების მიერ. სარევიზიო კომისიები სრულ უმოქმედობას იჩენენ. რაიონის კოოპერატიული ორგანიზაციები ფორმალურად უდგებიან გაფლანგვების და მტაცებლობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს. „საქ. თამბაქოს" სარაიონო სააგენტოში გასულ წელს გაანიავეს მეთამბაქოეებისათვის მოსული 11 ათასი კილო ხორბალი. ამ საქმის გამო პარტიიდან გაირიცხა და პასუხისგებაში იქნა მიცემული სააგენტოს მმართველი **ანთია** და საწყობის გამგეები **მგელაძე** და **კვარაცხელია.** ვიგრამ იმ პირთა საქმეები, რომლებიც ანთიას, მესხიასა და კვარაცხელიასთან ერთად ამ საქმის გამო პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი, სადღაც დაიკარგა. ვინ არიან ხსენებული ქონების ეს გამნიავებლები? ადი და აკაკი კვარაცხელიები — 1924 წლის ავანტიურის მონაწილეები და გამფლანგველები. მათ ნათესაური კავშირის გამო დღემდე „გააქვთ თავი".

ჯვარის ხე-ტყის მეურნეობაში გაანიავეს 4.166 კილო ხორბალი. დამნაშავეები კი დღესაც არ არიან დასჯილი. აღმაშფოთებელი მდგომარეობაა სახ. ვაჭრობის წალენჯიხაზე განყოფილებაში. განყოფილების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით თანამშრომლებს — დ. თვალთვაძეს (საწყობის გამგე), **თ. ბელქანიას,** სახოგაის და **კვარაცხელიას** აღმოაჩნდათ დანაკლისი ორმოცდაორი ათასი მანეთის ოდენობით. თვალთვაძემ, როდესაც ეს ამბავი გაიგო, ორი დღის ვადაში დაფარა 13 ათასი მანეთი, ბელქანიამ რვა ათასი მანეთი და სახოგაიამ 2.500 მან.. სახ. ვაჭრობის განყოფილებაში ბუხგალტერად მუშაობდა ვინმე კვარაცხელია, რომელიც ადგენდა ყალბ საბუთებს, ეწეოდა კომბინაციას. ვინ გაფლანგა 8 ათასი მანეთი. სახ. ვაჭრობის ზოგი თანამშრომელი მიცემულია პასუხისგებაში; ყოფ. ბუხგალტერი კვარაცხელია კი დაუსჯელად დადის. მოწადირეობა კავშირში **ძუკუ თვალთვაძემ** და **კალანდიამ** გაფლანგეს 8 ათასი მანეთი. ეს გამფლანგველები დღემდე დაუსჯელია.

ზემოაღნიშნული ფაქტები აშკარად ლაპარაკობენ იმაზე, რომ წალენჯიხის რაიონში ადგილი აქვს გაფლანგვების და მტაცებლობის მასიურ შემთხვევებს. განსაკუთრებით საგანგებო ყურადღება უნდა მიაქციონ ამ ფაქტებს რაიონის სახელმწიფო - კოოპერატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა. ამ ფაქტების დროულად გამოაშკარავება და მათი ბრალეულთა სასტიკად დასჯა ხელს შეუწყობს ამ ბოროტების ფესვების ამოძირკვას.

დ. დანელია.

რედაქციისაგან.

„კომუნისტი" მიაჩქცევს ყურადღებას კოოპერაციის და სახვაჭრობის ორგანოების ყურადღებას იმ უმსგავსობებზე, რასაც ადგილი აქვს წალენჯიხას რაიონის სავაჭრო - კოოპერატ. და მომმარაგებელ ორგანიზაციებში.

ამასთან, რედაქცია აღნიშნავს, რა სათანადო ადგილობრივი ორგანოების უმოქმედობას სახელმწიფო-კოოპერატიული ქონების მტაცებლობა და გამფლანგველთა მომართ, მოელის ამ საქმეში **რესპუბლიკის პროკურატურის ჩარევას** და დამნაშავეთა მიცემას სასტიკ პასუხისგებაში.

რედაქცია დარწმუნებულია, რომ წალენჯიხის რაიონის პარტიული და საკონტროლო ორგანოები თავის მხრივ მიიღებენ გადამჭრელ ზომებს წერილში აღნიშნულ უმსგავსობათა ლიკვიდაციისა და რაიონის სავაჭრო - კოოპ. აპარატის განმტკიცებისათვის შესაფერი კადრებით.

საუკეთესო წვევამდელები სამხედრო სკოლებს

წარმოადგენენ რა სანიმუშო სამწყობრო ნაწილს, ჩვენი სამხედრო სკოლები ამოცანად იხსავენ მისცენ წ.-არმიას ყველა საჭირო ჯარების ოცეულს მეთაურები, რომელნიც თავდადებულად იბრძოლებენ პროლეტარული რევოლუციის მონაპოვარის დაცვისათვის. აქედან უნდა გამომდინარეობდეს კომკავშირის ორგანიზაციის ამოცანები სამხედრო სკოლებისათვის კანდიდატის შერჩევის საქმეში. სამხედრო სკოლების შევსებამდე დარჩენილი დრო ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ ბრწყინვალედ იმისათვის, რომ ფართოდ აქციას გაშლილი საავიტაციო მასობრივი მუშაობა სამხედრო სკოლებისათვის კანდიდატთა შესარჩევად.

კლუბებში, სოფლის სამკითხველოებში, წარმოება - დაწესებულებებში და კოლმეურნეობებში უნდა მოეწყოს ცნობათა გასაცემი მაგიდები, რომ სკოლებში შემსვლელ ყველა ახალგაზრდას შეეძლოს მიიღოს ყოველგვარი ცნობა, რომელიც მისთვის საჭიროა. ამიტომ კომკავშირის კომიტეტებმა აქედანვე უნდა დაიწიონ მეტი კავშირი ადგილობრივ სამხედრო კომისარიატებთან და გამოიყენონ ბრიგადური „**რომ ვიყო შენი სამხედრო სტუდენტი**".

მთავარი და მეტად საპასუხისმგებლოა სკოლებისათვის კანდიდატთა პოლიტიკურად შერჩევა. წესს არ უნდა გამეორდეს ის შეცდომები, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასული წლის შესვების დროს. კომკავშირის თვითეულმა უჯრედმა ისე უნდა წარმართოს საავიტაციო - მასობრივი მუშაობა, რომ თვითეული მსურველი ნათლად იცნობდეს სკოლაში შესვლის პირობებს და იმ უპირატესობას, რომელიც ენიჭება სკოლის კანდიდატს როგორც სწავლის პერიოდში, ისე სწავლების დამთავრების შემდეგაც.

როგორ უნდა დავიწყოთ კანდიდატთა შერჩევა

სამხედრო სკოლებისათვის შერჩეულ ყოველ კანდიდატზე კომკავშირის უჯრედი პარტუჯრედთან შეთანხმებით ადგენს დახასიათებას, რომელსაც უგზავნის რაკომს. ეს უკანასკნელი კი მას მოთხოვნილებისდა მიხედვით გზავნის სამხედრო კომისარიატში. ყოველგვარ დახასიათებაზე, რა თქმა უნდა, პასუხისმგებელია ადგილობრივი კომკავშირის ორგანიზაცია, ახალგაზრდა, რომელსაც სურს სამხედრო სკოლაში შესვლა, წერს განცხადებას ადგილობრივი სამხედრო კომისარიატის სახელზე. განცხადებაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, თუ რომელ სკოლაში სურს შესვლა, განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: დაბადების მოწმობა, განათლების, პასუხისგებაში არყოფნის, დახასიათება-შუამდგომლობა პარტკომკავშირის ორგანიზაციისა ან და საბჭოთა პროფესიონალური ორგანიზაციის მიერ, პარტიულობის და სოციმდგომარეობის აღნიშვნით.

მ. შეკლაშვილი.

აბხ. სიმონ ხუნდაძე

ბიოგრაფიული ცნობები

ამხ. სიმონ ხუნდაძე დაიბადა 1895 წელს სოფ. კალაგონში (ყოფ. ოზურგეთის მაზრა). პირველ დაწყებითი განათლება მიიღო სოფლის სკოლაში. სასოფლო სკოლის დამთავრების შემდეგ ამხ. სიმონი შეედგა ქუთაისის მეზრკოს და იწყებს მუშაობას სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე, ამ დროიდან იგი უფრო ინტერნასიონალურ კოლებს ხელს მი-ს საფუძ. საქართველოს საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების შესწავლას და საკვლევა-ძიებო მუშაობას. ამ დარგში იგი აგროვებს დიდძალ სარჩევო მასალას, აანალიზებს და სისტემატიზაციაში მოჰყავს იგი. ამავე სანებში ამხ. სიმონ ხუნდაძე რედაქტორობს ეურნალ „ქართულ მწერლობას" და მონაწილეობს თითქმის ყველა საბჭოთა პერიოდულ გამოცემებში.

პოლიტიკურ ლიტერატურის სერიიდან ამხ. სიმონის კალამს ეკუთვნის ნაშრომები „იმპერიალიზმის შესახებ", „პირველი ინტერნაციონალის ისტორია" და სხ. საქ. საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიიდან „სოციალიზმის ისტორია საქართველოში" —ორ ტომად, „ქართული ინტელიგენციის პროფილი" და სხ.

ამხ. სიმონის რედაქტორობით და კომენტარიებით გამოცემულია შემდეგი ქართული კლასიკოსები: გ. წერეთელი—

დაიწყო პურის თავისუფლად გაყიდვა

22 აგვისტოდან ტფილისში დაიწყო პურის თავისუფლად გაყიდვა მოსახლეობაზე. საბჭ. კავშ. მომარაგების სახალხო კომისარიატის დადგენილებით ტფილისში ყოველდღიურად გაიყიდება 200 ათასი კილოგრამი გამომცხვარი პური. პურით ვაჭრობა ტფილისის ეკისრება საქვაჟოობას, რომე მოაწყო სპეციალური საკვირო ქსელი. ქალაქში სულ გახსნილია 80-მდე წერტილი. ქალაქის გარდა, პური გაიყიდება კუკიორში, ავჭალაში და ზაჰესში. მაღაზიები პურის თავისუფლად გაყიდვას იმუშავებენ განუწყვეტლივ დილის 7 საათიდან საღამოს 10 საათამდე.

მოსამზადებელ მუშაობის კარგად ჩატარების შედეგად, მოსახლეობაზე პური თავისუფლად გაყიდვა პირველი დღიდანვე ნორმალურად მიმდინარეობს, ყოველგვარი შეფერხების გარეშე მაღაზიების პურით მომარაგებაში, ყოველგვარი რიგების გარეშე.

გუშინ საღამოს, საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტში ამხ. ს. აკოპოვის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი, რომელმაც შეაჯამა ტფილისში მოსახლეობაზე პურის თავისუფლად გაყიდვის პირველ დღის შედეგები თათბირმა აღნიშნა, რომ ქარხნული და ნაწილობრივ რუსული პურის ხარისხი ცუდი იყო. განსაკუთრებით ცუდი ხარისხის პური გამოუშვა საქპურტრესტის მექანიკურმა თონემ, რომელმაც მეტი ნაწილი უვარგისი პური მოგვცა, გადამწვარი და სხვ...

თათბირმა დაავალა ამხ. რობაქიძეს და ხუხუნაშვილს (საქპურტრესტი) და ამხ. შაცკის (პურის ინსპექცია), არა უგვიანეს 23 აგვისტოსა წარუდგინონ სკ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტს ღონისძიებები გამოსაცხობი პურის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

გამომცხვარი პურის ცუდი ხარისხისათვის დაჯარიმებული არიან პურის საცხობების გამგეები: ვაზნესენსკის ქ. № 23—**ბზოიანი**, კლარა ცეტკინის ქ. №220—**ლარიბოვი**, იმავე ქუჩაზე № 178—**ქარსანიძე**, მესანგრეთა ქ. № 32—**ბარამიძე**, რიყის ქ. № 74—**კარაპეტიანი**, მაიდანის ქ. № 5—**სარქისოვი**. თათბირის მოედანზე № 1—**ერაძე**. პურის ინსპექციას დაევალა დღესვე განსაზღვროს ჯარიმის რაოდენობა. ყველა პურის საცხობის და თონეს გამგეები, ცუდი პურის გამომცხობნი გაფრთხილებული არიან, რომ თუ განმეორდა ცუდი ხარისხის პურის ვაი მოცხობის შემთხვევები, დამნაშავეები მიცემული იქნებიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით

კარგი ხარისხის პურის გამოცხობისათვის თათბირმა დაადგინა დაჯილდოოს პურის საცხობების გამგეები: მეტეხის ქ. № 29—**ალტარაანი**, კომუნალური ქ. № 87— **ახვერდოვი**, მალაკნის ქ. № 40—**თხელაშვილი**, მილიუტინის ქ. № 15—**ხაიანოვი**, ლენინის აღმართი № 34—**არუთინოვი**.

თათბირმა დაავალა პურის სავაჭროების გამგეებს არ მიიღონ ცუდი ხარისხის პური და სათანადო ოქმები შეადგინონ ასეთ შემთხვევებში.

ვინაიდან ამჟამად თავისუფლად გასაყიდად გამოშვებული პური ცხვება ერთი ფორმის, თათბირმა დაავალა საქპურტრესტს—ცდის სახით გამოაცხოს მთელ რიგ პურის საცხობებში სხვადასხვა ფორმის პური. —მრგვალი პური, ლავაში, სხვადასხვა წონის პატარა პურები და სხ.

მეპურეთა კავშირს პურის თავისუფლად გაყიდვისათვის მზადების პერიოდში, აგრეთვე მოსახლეობაზე პურის გაყიდვის პირველ დღეს არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებია იმ საწარმოთა მუშებს შორის, რომლებიც აცხობენ პურს. ამასთან დაკავშირებით, თათბირმა გადასწყვეტა სთხოვოს საქართველოს პროფსაბჭოს განიხილოს საკითხი საქართველოს მეპურეთა კავშირის ცენტრალური გამგეობის მუშაობის შესახებ.

ძოსახლეობაზე პურის თავისუფლად გაყიდვის პირველი დღის შედეგების საფუძველზე თათბირმა მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ პურის ხარისხის, მისი გადაზიდვის, შენახვის და მოსახლეობისთვის პურის მიწოდების შემდგომ გაუმჯობესებას, საწარმოო დაწესებულებების და პურის მაღაზიების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაყენებას სათანადო სიმაღლეზე (ადს).

მოსკოვ—ყარა-ყუმის ავტოგადარბენა

გადარბენის მონაწილეთ ტფილისში მოელიან 30 აგვისტრა

ტფილისის ავტოგზამ გააჩალა მოსამზადებელი მუშაობა მოსკოვ-ყარა-ყუმის ავტოგადარბენის მონაწილეთა შესახვედრად

ავტოგზის წარმომადგენლები დღეს იგზავნებიან ბაქოში გადარბენის მიმდინარეობის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის და მისი უმთავრეს მომენტების ფოტო-სურათების მისაღებად.

ამ მასალების საფუძველზე გადარბენის მონაწილეთა ავტოკოლონის ტფილისში ჩამოსვლის დროისათვის ავტოგზის ტფილისის საბჭო გამოუშვებს სპეციალურ ფურცლებს და მოაწყობს ორ ფოტოვიტრინას.

23 აგვისტოს პლეხანოვის პრო-ს-პექტზე გამოკიდებენ დიდ გასაბუქებელ რუკას გადარბენის მარშრუტით.

ავტოგზის წარმომადგენლები დღეს იგზავნებიან ბაქოში გადარბენის მიმდინარეობის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის და მისი უმთავრეს მომენტების ფოტო-სურათების მისაღებად.

ამ მასალების საფუძველზე გადარბენის მონაწილეთა ავტოკოლონის ტფილისში ჩამოსვლის დროისათვის ავტოგზის ტფილისის საბჭო გამოუშვებს სპეციალურ ფურცლებს და მოაწყობს ორ ფოტოვიტრინას.

23 აგვისტოს პლეხანოვის პრო-ს-პექტზე გამოკიდებენ დიდ გასაბუქებელ რუკას გადარბენის მარშრუტით.

ავტოგადარბენის მონაწილეთა შესახვედრად, რომელთაც 30 აგვისტოს მოელიან ტფილისში, ავტოგზას ტფილისის საბჭო გზავნის ავტომობილ კოლონას ავტოგზას წარმომადგენლებისა და ტფილისის საწარმოების დამკვრელთაგან.

ნავთლუღის მახლობლად აიგება თაღი ლოზუნგებით და მისაძღებით ჩამოსულთათვის, რომლის მახლობლად მოხდება საზეიმო შეხვედრა. აქედან გადარბენაში მონაწილე ავტომობილების კოლონები, ადგილსუფლების მოედნის, გაემართებიან პლეხანოვის პროსპექტისაკენ „დინამოს“ სტადიონზე.

მოსკოვ - ყარა-ყუმის ავტოგადარბენის მონაწილეთა ტფილისში ჩამოსვლის დღეს პირველი გაიარეს მუშები გამოუშვებენ რემონტიდან გადარბენის სახელობის ერთ ავტომანქანას.

ოფიციალური განკარგულება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

1933-34 სასწავლო წელს დაწყებითიდან საუნივერსიტეტო სასწავლო წიგნების თაობის დრომდე შემოზიდვის შესახებ

1933-34 სასწავლო წელს დაწყებითი და საშუალო სკოლებისათვის სასწავლო წიგნების თავის დროზე მიწოდების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ-ისა და ავტონომიური სსრ-ების განათლების სახალხო კომისარიატების სისტემის დაწყებითის და საშუალო სკოლებისათვის საჭირო სასწავლო წიგნებს, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა და რაც შემოიზიდება სხვა რესპუბლიკებიდან, ანაწილებენ ცალკეულ სკოლებს შორის სახალხო განათლების სარაიონო და საქალაქო განყოფილებები ამ უკანასკნელთა და სახელმწიფო გამომცემლობის ადგილობრივ განყოფილებებთან და სამომარაგებლო კოოპერაციის სისტემის წიგნით მომარაგების ორგანიზაციათა შორის დადებული საერთო ხელშეკრულებების საფუძველზე.

2. დაეკალოს სახელმწიფო გამომცემლობას, საქართველოს სსრ-სა და ავტონომიური სსრ-ების განათლების სახალხო კომისარიატებს და სახალხო განათლების სარაიონო განყოფილებებს — უზრუნველყონ ახლად გამოცემული სტაბილური და სკოლებში სახმარებლად ნებადართული სასწავლო წიგნების სკოლებამდე მიწოდება არა უგვიანეს 1933 წ. სექტემბრის 1-სა.

3. პასუხისმგებლობა რკინისგზების სადგურებზე, წყალსავალ გზების ნავთსაყუდლებზე და ფოსტის განყოფილებებში ტვირთად მოსული სასწავლო წიგნების თავის დროზე მიღებისათვის და აგრეთვე სასწავლო წიგნების სკოლებამდე მიზიდვისათვის დაეკისროს სახალხო განათლების სარაიონო და საქალაქო განყოფილებათა გამგეებს.

4. დაეკისროს პერსონალური პასუხისმგებლობა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებს თავის დროზე ხელშეკრულებების დადებისათვის სახელმწიფო გამომცემლობის განყოფილებებთან და წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციებთან, აგრეთვე სასწავლო წიგნების სასყიდლად საჭირო სახსარის გამოყოფისათვის და სასწავლო წიგნების სკოლებამდე მისაწვდენად სატრანსპორტო საშუალებათა მიჩენისათვის.

5. მიძღვნილი სასწავლო წიგნების ანგარიშს სახელმწიფო გამომცემლობის ადგილობრივ განყოფილებებთან და სხვა. წიგნის მოვაჭრე, ორგანიზაციებთან ასწორებენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და საქალაქო საბჭოების; ამასთანავე სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებმა დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყონ აღნიშნული ორგანოების მიერ ყველა საჭირო სახსრის გამოყოფა მიღებული სასწავლო წიგნების შესაძენად, რისთვისაც უნდა გამოიყენონ როგორც სპეციალური სახსარი, ისე სკოლის დამხმარე საბჭოებისა და მშობლების სახსარი და აგრეთვე ახალი სასწავლო წლისათვის მომზადების თეატრალებთან დაკავშირებით სამეურნეო და საზოგადო ეზრივი ორგანიზაციებიდან შემოსული სახსარი.

6. დაეკისროს პერსონალური პასუხისმგებლობა სკოლათა გამგეებს საჭირო სასწავლო წიგნებზე განცხადების თავის დროზე წარდგენისათვის, სახელმწიფო გამომცემლობის განყოფილებებიდან სასწავლო წიგნების თავის დროზე მიღებისა და მოსწავლეთა შორის განაწილებისათვის და სასწავლო წიგნებისა და სახელმწიფო გამომცემლობის სახალხო კომისარიატის ხაზით — ამხ. გეგენავას და სახელმწიფო გამომცემლობის ხაზით — ამხ. ბიბინეიშვილის და ამხ. ლორთქიფანიძეს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავ-რე ზ. მგალობლიშვილი.
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ზ. თათიშვილი.

1933 წ. აგვისტოს 14.
ტფილისი.

ჭიათურა

მარგანეცის ამოღება და გარეცხვა (ტონოგით)

19 აგვისტოს

	ამოღება			გარეცხვა		
	დავალება	შესრულება	%	დავალება	შესრულება	%
სულ	3.789	3695	97,5	1.990	1669	83.8
მათ შორის:						
ჭარხ.-მაღ. № 1	98	76	77,5	49	48	98
„ „ № 3	180	181	100,5	99	100	100.9
„ „ № 4	344	477	138,6	131	131	100
„ „ № 17	244	253	103,7	115	118	102,9
„ „ № 11	688	689	100,1	589	395	67
„ „ № 5	298	214	71,8	164	174	106
„ „ № 25	622	629	101,1	324	243	75
„ „ № 29-30	631	634	100,4	303	301	99,3
„ „ № 33	242	202	83,4	147	115	78.2
მაღარო № 36	442	340	76,9	—	—	—
ჭარხანა № 27	—	—	—	69	44	63.8

პასპორტების გაცემა სუსტად მიმდინარეობს

5 დღეში 25.858 ცნობა

უკვე მეშვიდე დღეა, რაც დაწყებულია ტფილისის მცხოვრებთათვის პასპორტების დარიგება. პირველი ხუთი დღის განმავლობაში, ანუ 15-დან 20 აგვისტომდე, ქალაქში გახსნილი პასპორტო პუნქტებიდან პასპორტების მისაღებად გაცხადდა იყო სულ 25.858 ცნობა. ეს გარემოება ნათლად მოწმობს პასპორტო პუნქტების ხუსტ მუშაობას, რადგან, თუ მათ ყოველ ხუთდღიურში მეტი რაოდენობის ცნობებით გაცემა ვერ შესძლეს, შეფერხდება პასპორტიზაციის დამთავრება დაწესებულ ვადებში.

პასპორტო პუნქტების მუშაკები ხშირად ვერ ერკვევიან საქმეში, ზოგ სათანადო არა აქვთ შესწავლილი არსებული ინსტრუქციები და პასპორტის გაცემის შესახებ არსებული წესები. პასპორტო პუნქტებში მაგალითად, სახლთა მმართველობების წარმომადგენლებს ვერ ახერხებენ ამომწურავად განმარტებებს. ამის შესახებ, თუ როგორ მოიქცენ ისინი მობინადრეთათვის პასპორტების დარიგებისას, მთელ რიგ პუნქტებში შემოხეულია არ არის მოქმედი მოთხოვნა, დაწესებული ან არის მოძველებული ვადები და სხვ.

მუშაობს 45 პუნქტი

მოსახლეობის პასპორტიზაციის ჩასატარებლად ქალაქში უნდა გახსნილიყო და ამჟამად უკვე უნდა მუშაობდეს 66 პასპორტო პუნქტი. ფაქტიურად კი ჯერ-ჯერობით ნახსნილია და მუშაობს 45 პუნქტი. აუცილებელია სასწრაფოდ გაიხსნას დარჩენილი 21 პუნქტი, რათა ყველა მოსახლეს მიეცეს საშუალება პასპორტი მიიღოს ადგილზე, მის საცხოვრებელ ადგილას.

ცნობების გაცემის დრო მცირედ უნდა გაიზარდოს

ქალაქის სამსახურთო ბიუროს ცნობით პირველიდან 20 აგვისტომდე ქალაქის სახლეურები დასტრეა და თავის სურვილით გასახლდა 4.426 მოქალაქე. სპეციალ ამხანაგობათა ხელმძღვანელებმა, სახლების კომენდანტებმა და სახლთა გამგეებმა სარაიონო იქიან იმის შესახებ, თუ ვის გადასცეს თავისი ბინები საკუთარი ნებით გადასახლებულებმა.

სპეციალ ამხანაგობათა ხელმძღვანელებმა და კერძო სახლთმფლობელებმა არავითარი ზომები არ მიუღიათ იმისათვის, რომ წინასწარ გაეფრთხილებიათ გადასახლებული ამ ასეთი საქციელის დაუშვებლობაში, სპეციალ იყო. მობინადრეთა შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება იმის შესახებ, თუ რა შედეგს გამოიწვევს ბინების თვითნებურად სხვებისთვის გადაცემა, მათი გაყიდვა და სხ.

სახლთა მმართველობისათვის სპასპორტო პუნქტებიდან ცნობების გაცემის საათები თითქმის არსად არაა მტკიცედ დაწესებული ბევრ სპბანო ამხანაგობებში არც კი იციან, თუ სად არ როდის მივიდეს ცნობების მისაღებად. სპასპორტო პუნქტებმა დაუყოვნებლივ უნდა დააწესონ სახლთმფლობელობისათვის ცნობების მიცემის საათები.

საზღვარგარეთელი ტურისტები ა.-კავკასიაში

მომდინარე წლის ტურისტულ სეზონში საზღვარგარეთელ ტურისტთა ძირითად მასას, რომლებიც ეწვევიან ამიერ-კავკასიას, შეადგენენ ამერიკელები. ტურისტთა დიდი ნაწილი მოდის სტანდარტული მარშრუტით ორჯონიკიძე—ტფილისი (საქართველოს სამხედრო გზა) და შემდეგ ბათომამდე რკინის გზით. იმ ჯგუფებს შორის, რომლებმაც იმოგზაურეს ამ მარშრუტით, უნდა აღინიშნოს ამერიკელ სწავლულთა ტურისტული ჯგუფი (30 კაცი), ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა ჯგუფი (32 კაცი) და შვეიცარელი ალპინისტების (6 კაცი), რომლებაც ინახულეს იალბუზის რაიონი. უახლოეს დღეებში ტფილისში მოელიან საფრანგეთის ალპინისტების დიდ ჯგუფს (40 კაცი), რომლებიც ამჟამად იალბუზის რაიონში იმყოფებიან.

ხვესურეთში ამჟამად იმყოფება ამერიკელთა მცირე ჯგუფი, რომელიც მუშაობს გამოჩენილი კინო-ოპერატორის ბრაინის ხელმძღვანელობით საყოფაცხოვრებო და ეთნოგრაფიული ხასიათის კინო-სურათის გადაღებაზე. ბრაინმა უკვე ჩაატარა დიდი მუშაობა ინდუსტრიალურ, სასოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ობიექტების გადასაღებად სომხეთის რაიონებში. ზამთარში, ამერიკაში დაბრუნების შემდეგ, ბრაინი მთელ რიგ ქალაქებში წაიკითხავს ლექციებს ამიერ-კავკასიის შესახებ მის მიერ გადაღებული ფილმების ჩვენებით. ბრაინი პირველად არ იმყოფება ამიერ-კავკასიაში. მას განზრახული აქვს უახლოეს დღეებში გაემგზავროს სვანეთში და იქ გადაიღოს მთელი რიგი სურათები.

აკადემიკოსი ი. ი. მეშჩანინოვი ტფილისში

ტფილისში ჩამოვიდა საკავშირო სამეცნიერო აკადემიის მიერ მოეწვიებული აკადემიკოსი **ი. მეშჩანინოვი**, მისი ჩამოსვლის მიზანია აკადემიის ფილიალის სარკანიზაციო მშენებლობის დამუშავებას კერძოთ ამიერ-კავკასიის ფილიალის მუშაობის გაფართოება ტფილისში. მთავარი ყურადღება მიექცევა მხარის საწარმოო ძალების შესწავლის გაძლიერებას გეოლოგიის, ქიმიის, ბიოლოგიის, ნიადაგმცოდნეობის და სხვა დარგებში.

აკადემიკოსი მეშჩანინოვი ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში წაიკითხავს მოხსენება-ლექციებს თემაზე: ენის შესახებ ახალ მოძღვრებაზე (იაფეტური თეორიის განვითარების ეტაპები) და მატერიალური კულტურის, როგორც ისტორიული წყაროს, ძეგლების შესახებ.

აღნიშნული განათლების სახალხო კომისარიატის მიწვევით აკად. მეშჩანინოვი ამ დღეებში მიემგზავრება სოხუმში და მუშაობას საკოსულტაციოთ, რომელიც სწარმოებს აღგილობრივ მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტში იფხაზური ენის შესახებ და მატერიალური კულტურის ძეგლების გასაცნობად.

საზღვაო პინო თეატრი ავლაბარში

ამ დღეებში ავლაბარში გაიხსნება საზაფხულო კინო-თეატრის ახალი შენობა, რომელის აგებაც 18 იგლისს დაიწყეს. კინო-თეატრთან მოეწყობა პატარა ბაღი, სამკითხველო, საკვადრაკო - საშაშო ოთახი და ბუფეტი.

ახალი კინო-თეატრი მომსახურეობას გაუწევს დღეში 20.000-მდე მაყურებელს.

შენობის აგება და მისი მოწყობა ჯდება 50.000 მანეთი. 3.000 მანეთი გადადებულია კინო-თეატრთან ბაღის გასაშენებლად.

ოფიციალური განკარგულება

1933-34 სასწავლო წელს დაწყებითიდან საუნივერსიტეტო სასწავლო წიგნების თაობის დრომდე შემოზიდვის შესახებ

1933-34 სასწავლო წელს დაწყებითი და საშუალო სკოლებისათვის სასწავლო წიგნების თავის დროზე მიწოდების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ-ისა და ავტონომიური სსრ-ების განათლების სახალხო კომისარიატების სისტემის დაწყებითის და საშუალო სკოლებისათვის საჭირო სასწავლო წიგნებს, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა და რაც შემოიზიდება სხვა რესპუბლიკებიდან, ანაწილებენ ცალკეულ სკოლებს შორის სახალხო განათლების სარაიონო და საქალაქო განყოფილებები ამ უკანასკნელთა და სახელმწიფო გამომცემლობის ადგილობრივ განყოფილებებთან და სამომარაგებლო კოოპერაციის სისტემის წიგნით მომარაგების ორგანიზაციათა შორის დადებული საერთო ხელშეკრულებების საფუძველზე.

2. დაეკალოს სახელმწიფო გამომცემლობას, საქართველოს სსრ-სა და ავტონომიური სსრ-ების განათლების სახალხო კომისარიატებს და სახალხო განათლების სარაიონო განყოფილებებს — უზრუნველყონ ახლად გამოცემული სტაბილური და სკოლებში სახმარებლად ნებადართული სასწავლო წიგნების სკოლებამდე მიწოდება არა უგვიანეს 1933 წ. სექტემბრის 1-სა.

3. პასუხისმგებლობა რკინისგზების სადგურებზე, წყალსავალ გზების ნავთსაყუდლებზე და ფოსტის განყოფილებებში ტვირთად მოსული სასწავლო წიგნების თავის დროზე მიღებისათვის და აგრეთვე სასწავლო წიგნების სკოლებამდე მიზიდვისათვის დაეკისროს სახალხო განათლების სარაიონო და საქალაქო განყოფილებათა გამგეებს.

4. დაეკისროს პერსონალური პასუხისმგებლობა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებს თავის დროზე ხელშეკრულებების დადებისათვის სახელმწიფო გამომცემლობის განყოფილებებთან და წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციებთან, აგრეთვე სასწავლო წიგნების სასყიდლად საჭირო სახსარის გამოყოფისათვის და სასწავლო წიგნების სკოლებამდე მისაწვდენად სატრანსპორტო საშუალებათა მიჩენისათვის.

5. მიძღვნილი სასწავლო წიგნების ანგარიშს სახელმწიფო გამომცემლობის ადგილობრივ განყოფილებებთან და სხვა. წიგნის მოვაჭრე, ორგანიზაციებთან ასწორებენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და საქალაქო საბჭოების; ამასთანავე სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებმა დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყონ აღნიშნული ორგანოების მიერ ყველა საჭირო სახსარის გამოყოფა მიღებული სასწავლო წიგნების შესაძენად, რისთვისაც უნდა გამოიყენონ როგორც სპეციალური სახსარი, ისე სკოლის დამხმარე საბჭოებისა და მშობლების სახსარი და აგრეთვე ახალი სასწავლო წლისათვის მომზადების თეატრალებთან დაკავშირებით სამეურნეო და საზოგადო ეზრივი ორგანიზაციებიდან შემოსული სახსარი.

6. დაეკისროს პერსონალური პასუხისმგებლობა სკოლათა გამგეებს საჭირო სასწავლო წიგნებზე განცხადების თავის დროზე წარდგენისათვის, სახელმწიფო გამომცემლობის განყოფილებებიდან სასწავლო წიგნების თავის დროზე მიღებისა და მოსწავლეთა შორის განაწილებისათვის და სასწავლო წიგნებისა და სახელმწიფო გამომცემლობის სახალხო კომისარიატის ხაზით — ამხ. გეგენავას და სახელმწიფო გამომცემლობის ხაზით — ამხ. ბიბინეიშვილის და ამხ. ლორთქიფანიძეს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავ-რე ზ. მგალობლიშვილი.
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ზ. თათიშვილი.

1933 წ. აგვისტოს 14.
ტფილისი.

კარტიული და საბჭოთა კანონდარი

პოლიტგანყოფილებათა გაზეთების რედაქტორების თათბირი

26 აგვისტოს საღამოს 7 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სსრკავშირის დარბაზში მოწვეულია პოლიტგანყოფილებათა გაზეთების რედაქტორების თათბირი. ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს წარადგინება ეძლევათ გამოცხადდენ თათბირზე დაუყოვნებლივ. **ივანე ჩაბიძე** (პარტარაკომის პრეს. ბიუტ.), **გ. მრევლიშვილი** (საქ კ. პ. (ბ)-ტფ. კომიტეტის ბიუტ.), **არ. ათაბეგოვი** („პროლეტარის“ რედაქტორი), **მ. პაიჭაძე** (26 კომუნარის რაიკომის პარტყურნალების მდივანი), **შ. ცაგარეიშვილი** (სტალინის ბიუტეტი), **ვლ. მორცხუნლაძე**, **შალვა გოგოლაძე** (საქ. ცაკი), **სიმონ ლაშხი** (ცაკა-ს მდივანი), **ამ. ნაროუშვილი** (ტფილისის ინსტიტუტი), **რ. შალამბერიძე**, **რამაზი შიხალაშვილი**, **ვასილ ძერკვილი** („მუშა“), **მიხეილ ძამაშვილი** (საქ. სახკომსაბჭო), **ალექსანდრე საყვარელიძე**, **სამ. ბურდენიძე**, **პლატონ ქიქოძე**, **ვიქტორ მატიცაშვილი**, **ტყეშელაშვილი** (საქ. საგანგებო კომისია) **კ. ქადეიშვილი** (ოზურგეთის რაიკომი), **ლ. ჩხეიძეშვილი** (ჯ. კ-ის განყოფილებაში მყოფი), **იაკინთო ლისაშვილი**, **ბენ. ლორთქიფანიძე** (ტფილისის ინსტიტუტის ასპირანტი), **ნოე პაიჭაძე** (წითელი პროფესიონალის ინსტიტუტის პროკურორში), **აკ. კერესელიძე** (აგრ. სამეურნეო დირექტორი), **ივ. ძიძიგურაშვილი** (განათლ. განყ. გამგე), **ალექსანდრე ძიძიგური** (რკ. გზის სანიტარიანტი), **ნ. მშვენიერაძე** (შიმ. სახკომი).

სამანქანიო - სატრანსპორტო სამეურნეოების პოლიტგანყოფილებების ქალთა ორგანიზატორების თათბირი.

25 აგვისტოს საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის აგიტპროპგანყოფილებაში, ამხ. ბაქრაძის კაბინეტში (ოთახი № 84) შესდგება თათბირი. ქვემოდ დასახელებულ პირებს ეპატიჟებათ დაესწრონ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების თანამშრომელთა რიგებს მოულოდნელად გამოჰკლდა ქართული კომუნისტური კრიტიკის და ლიტერატურის ისტორიის ცნობილი მკვლევარი, პროფესორი

ამხ. **სიმონ ხუნდაძე**

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 7 საათზე, ვაზისუბნის (კავშირის ქ. № 3) დარბაზში 25 აგვისტოს ცხედრის გამოსვენებისუნივე რსიტეტიდან — ნაშუადღევის 5 საათზე

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი ღრმა მწუხარებით იუწყება ისტორიულ ლიტერატურულ ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

ამხ. **სიმონ ხუნდაძის**

მოულოდნელ გარდაცვალებას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი ღრმა მწუხარებით აცხადებს, რომ 24 აგვისტოს ტფილისში უდროოდ გარდაიცვალა მწერალთა კავშირის საბჭოს წევრი, ლიტერატურის ცნობილი კრიტიკოსი და ქართული მწერლობის ისტორიის დაუღალავი მკვლევარი

ამხ. **სიმონ ხუნდაძე**

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა უდიდეს მწუხარებას გამოსთქვამს სახელგანთქმული მისი ყოფილი გამგის, ლიტერატურის ისტორიის ცნობილი მკვლევარის და ქართული წიგნის კულტურისათვის დაუღალავი მუშაკის

ამხ. **სიმონ ხუნდაძის**

უდროოდ გარდაცვალების გამო.

ლიტერატურო გაზეთის რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გაზეთის უახლოეს თანამშრომელთა რიგებს მოულოდნელად გამოჰკლდა ქართული კომუნისტური კრიტიკის და ლიტერატურის ისტორიის თვალსაჩინო მუშაკი

ამხ. **სიმონ ხუნდაძე**

„ჟურნალი „ძიათობის“ რედაქცია მწუხარებას გამოსთქვამს ჟურნალის მუდმივი თანამშრომლის და ქართული მწერლობის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარის

ამხ. **სიმონ ხუნდაძის**

უდროოდ გარდაცვალების გამო

თავხარდაცემულნი მარო და სანდრო დევიძეები შვილებით მარიკო და ციალათი უსახლეთრო მწუხარებით აუწყებენ სახოგადოებას მათი უძვირფასესი

სიმონ ხუნდაძის

უდროოდ დაკარგვას 90

ვალოდია ხუნდაძე ცოლით და შვილებით გალინა, მერიკო და ბიჭიკოთი, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს

პროფ. სიმონ ხუნდაძის

მოულოდნელად გარდაცვალებას. 899

ექიმი შალვა ბერძნიშვილი და აკაკი მაჭავარიანი ცოლშვილით ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი ადამიანის

სიმონ ირაკლის-ძე ხუნდაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო 892

მიიღება ხელს მოწერა გაზეთ „კომუნისტ“-ზე სექტემბრის თვისათვის და წლის გოლომდე

ყველა საფოსტო განყოფილებებთან და „სოიუზპეჩატ“-ის ორგანიზატორებთან.

სახკინმარეწვის კინო-თეატრები:

საზღვარგარეთული კომედია **ნეპტუნი**
8-20, 10-40, 11.

მხატვრული ფილმი **ძინა ძაძუ**
დ ა ს ა ვ ა რ ი
8-20, 10-40, 11.

ამერიკული კომედია **ბებიის შვილიშვილი**
ა ხ ა ლ ი
8-20, 10-40 11

მხატვრული ფილმი **ქალიშვილი შორაულ მდინარიდან**
კომინტერნი (დიდუბე) 9. 10-30

საქკინმრეწვის ნაწარმოები **ნათელა**
ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი
7, 8-45, 10-30

ლ ე ნ ი ნ ი ს ხ ე ლ ო ბ ა
ლენინის ალყა 7-30, 9, 10-30

მხატვრული კომედია **ჰროცესი 3 მილიონის შესახებ**
რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა
7, 8-45, 10-30

სახკინ ნაწარ **ვინ არის დამნაშავე**
ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი
7-30, 9, 10-30

პროგ. გარეშე—ვაშენებთ დიროიგ ბლს

მხატ. ფილმი **ა ამიანის დაბადება**
ტ ე ხ ნ ი კ ა
პრ. გარ.—ჟურ მიცნ დმ ტექნ № 6

ბაბავშო კინო
დღის 12 და 2 საათზე

ახალი საბავშო ფილმი
გარეი პოლიტიკოსობა

მალე!
ქარა ტაუს საიდუმლოება
ნ. 273

ვიღაცით პოზაფეებს
17 წლიდან 25 წლამდე
ასოთ-ამწყობ მანქანა
ლინოტიპზე
სამუშაოთ.
პირობები: ხელფასი ორძოცდა ათი (50) მან. სადილი პირველი უფასოთ.
მისამართი:
სტამბა „**კომუნისტი**“.
ქამოს ქუჩა № 68

მარჯანიშვილის სახ. თეატრი
სახელმწიფო დრამა
სეზონი 1933-34 წ.
თეატრის პოპულარულია საუკეთესოდ
მუშაობა გახახლდება 1 სექტემბრიდან რომელ რიცხვისთვისაც დასის ყველა წევრები უნდა გამოცხადდენ თეატრში სრულ 12 ს. ზე რეპეტიცია. მხატვრები და ადმინისტრატიულ ტექნიკური პერსონალი ვალდებულია გამოცხადდეს სამუშაოდ 25 აგვისტოს.
25 აგვისტოდან თეატრია კანტორაში მიიღება განცხადებები თან. მშრომლების ჩარიცხვის მიზანზე
2—1 დ რეჟისია.

ა. ი. ჭელიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ. იღებს ავადმყოფებს დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს.
ძისამართი ქამოს ქ. № 72 (ყ. დიდი მთავრის ქ.) ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. 15—1.

ავშირგაგმულების
ელექტრო-ტექნიკუმსა და საშუალო-სამრეწველო-საძალარნო სკოლაში დამატებითი ჯგუფების გახსნასთან დაკავშირებით
განცხადებების მიღება გრძელდება
დაწვრილებითი ცნობები ტექნიკუმის კანცელარიაში შიო ჩიტაძის ქ. № 13
დ რეჟისია.

მაღაზიის გაყიდვა
ვაკეში, ბაზრის მოედანზე, ორ ოთახიანი მაღაზია ნებით იყიდება. მოსალაპარაკებლად მიმართეთ: ვაკე, ბაზრის მოედანი, ნ. 2.

გამომცემლობა „ფედერაცია“ მწუხარებით იუწყება გამოცემლობის ყოფილი დირექტორის და ქართული კლასიკური მწერლობის გამოცემათა დაუღალავი რედაქტორის
ამხ. **სიმონ ხუნდაძის**
უდროოდ გარდაცვალებას

საქართველოს კ. პ. (ბ) ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტი და პროფკომი მწუხარებას გამოსთქვამენ პარტიის წევრის, ლიტერატურის ისტორიის პროფესორის
ამხ. **სიმონ